აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№62 (24.942) შაბათი, 18 - 20 ივნისი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 23-28, მაღალ მთაში - 17-22 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 20 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 760 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

ევროკომისია ევროპულ საბჭოს რეკომენდაციას აძლევს, უკრაინას და მოლდოვას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიანიჭოს, - განცხადება ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა გააკეთა. რაც შეეხება საქართველოს, ქვეყნის ევროპული პერსპექტივა კომისიამ ოფიციალურად აღიარა, თუმცა კანდიდატის სტატუსის მიღებამდე გარკვეული პირობებია შესასრულებელი.

* * *

ვულოცავთ როგორც უკრაინას, ისე მოლდოვას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებას, რაც შეეხება საქართველოსთან დაკავშირებით მიღებულ

გადაწყვეტილებას, ევროკავშირის მიერ ევროპული პერსპექტივის ოფიციალურად აღიარებას საქართველო მრავალი წლის მანძილზე ელოდა. მოხარული ვართ, რომ დღეს ეს პერსპექტივა ევროპულმა კომისიამ ოფიციალურად აღიარა და კანდიდატის სტატუსის მიღებისთვის კონკრეტული გზამკვლევიც შემოგვთავაზა, - განაცხადა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე.

* * *

ნატოს თავდაცვის მინისტრიალის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე ბრიუსელში ნატოს გენერალურ მდივანს შეხვდა. მინისტრმა იენს სტოლტენბერგს მადლობა გადაუხადა ალიანსში გაწევრიანების გზაზე საქართველოსთვის გაწეული მტკიცე პოლიტიკური და პრაქტიკული მხარდაჭერისთვის. მხარეებმა რეგიონში არსებულ უსაფრთხოების გარემოსა და გამოწვევებზე ისაუბრეს.

* * *

პარლამენტის კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე სუს-ის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში მოისმინეს, რომელიც უწყების უფროსის პირველმა მოადგილე ალექსი ბატიაშვილმა წარადგინა. მთავარ გამოწვევებად დასახელდა რუსეთის მიერ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის და აფხაზეთის ანექსიისკენ მიმართული პოლიტიკა, უცხოური დაზვერვის საქმიანობა და საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ საქმეებში მათი ჩარევის მცდელობა. დოკუმენტს პლენარულ სხდომაზე განიხილავენ.

მოამზადა
ია შველიძემ

სამარშრუტო ტაქსით მგზავრობა ისევ 50 თეთრი ეღირება

ზიჭრია დავლაძე 579 25 25 72

ეს საკითხი საკრებულოს სხდომაზე გუშინ,17 ივნისს, განიხილეს. დეპუტატები წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარის არჩევის შემდეგ პირველად შეიკრიბნენ. მათ დღის წესრიგით განსაზღვრული 9 საკითხი განიხილეს. მათ შორისაა სატრანსპორტო ცვლილებები. სატრანსპორტო სამსახურის ბათუმის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსის თქმით, მგზავრების გადამყვან კომპანიებს გადასახადი შეუმცირდებათ. რაც იმას ნიშნავს, რომ სამარშრუტო ტაქსის მძღოლების მიერ თვითნებურად გაზრდილი ფასი - 70 თეთრი შემცირდება და მგზავრობის ღირებულება ისევ 50 თეთრი გახდება.

- ბათუმის მუნიციპალიტეტში მიკროავტობუსების მიერ მგზავრთა გადაყვანის ტარიფები განსაზღვრულია 50 თეთრით, ეს ტარიფი არ იცვლება. ტარიფის გაზრდასთან დაკავშირებით მგზავრგადამყვანმა კომპანიებმა მოგვმართეს, ვიმუშავეთ ამაზე და მიღებულ იქნა ცვლილება ადგილობრივ საქალაქო სამგზავრო გადაყვანის ნებართვასთან დაკავშირებით. ერთ სატრანსპორტო საშუალებაზე თუ აქამდე თვეში 20 ლარის გადახდა იყო დადგენილი, ახლა ეს გადასახადი სიმბოლურ თანხამდე - ერთ ლარამდე დავწიეთ (ანუ სამარშრუტო ტაქსების მძღოლები თვეში ზემოთ აღნიშნული ნებართვისთვის, ამიერიდან 20-ის ნაცვალად მხოლოდ ერთ ლარს გადაიხდიან, შესაბამისად, მგზავრის გადასახდელი თანხაც დაიწევს და ძველებურად 50 თეთრი იქნება). რაც შეიძლებოდა ჩვენი მხრიდან, ის გავაკეთეთ, - განაცხადა ბათუმის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსმა ემზარ ქავჟარაძემ.

სხდომას არ დასწრებია ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი, რამაც ოპოზიციის მხრიდან უკმაყოფილება გამოიწვია. მოხდა სიტყვიერი დაპირისპირებაც. საკრებულოს სხდომაზე რევაზ ხარაზი აუდიტის დასკვნებით იმყოფებოდა. მას სურდა მერისგან მიეღო პასუხები, თუმცა რადგან ადგილზე არჩილ ჩიქოვანი არ იმყოფებოდა, მოითხოვა კითხვებზე მმართველ გუნდს ეპასუხა. როგორც რევაზ ხარაზმა განაცხადა, მათ კითხვებზე პასუხები არ აქვთ. ოპოზიციის წარმომადგენელმა დარბაზი პროტესტის ნიშნად დატოვა.

- სამწუხაროდ, ეს საკრებულო არის ბათუმის მერის დანამატი. როგორც 2021 წლის ბიუჯეტი მიიღეს ადვილად, იმავეს აკეთებენ ახლაც. ბათუმის მერმა არ იკადრა და არ მოვიდა სხდომაზე. გვინდოდა მისგან მოგვესმინა არსებულ პრობლემებზე საუბარი. ბათუმის საკრებულოში უჭირთ ოპოზიციური აზრის მოსმენა, მაგრამ მათ მოუწევთ ეს გააკეთონ. მე მათთან ერთად განხილვებში მონაწილეობას არ მივიღებ, რადგან არსებობს დოკუმენტი, რაც ხდება საკრებულოში, თუმცა ამის განხილვა არ სურთ. ყველამ კარგად იცის, გარეთ რაც ხდება, ინფრასტრუქტურა არის მოუწესრიგებელი, სოციალური ფონი არის მძიმე და აქ გამოდიან და ამბობენ, რომ 2021 წლის ბიუჯეტი შეასრულეს და 2022 წლის ბიუჯეტზე ან ვილაპარაკებთ ან არაო. ეს არის კლასიკური მაგალითი ბიძინა ივანიშვილის მმართველობის. მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ ამ მოპარული მილიონების შესახებ. ამ დოკუმენტებზე მოუწევთ პასუხისმგებლობა. მათ არ გააჩნიათ კითხვები გაჩერებულ პროექტებთან დაკავშირებით. ასეთ დარბაზში ყოფნა მიჭირს. სწორედ ამიტომ დავტოვე სხდომა, - გვითხრა რევაზ ხარაზმა.

სხდომაზე, ასევე, საუბარი იყო იაფი სახლის პროექტთან დაკავშირებითაც. ბათუმის საკრებულომ მერიას მისცა ნება, საცხოვრისები იაფი სახლით მოსარგებლეებს გადასცეს. იმსჯელეს ავარიულ სახლებთან დაკავშირებითაც. ოპოზიციური პარტია „საქართველო“ ინიციატივით გამოვიდა, შეიქმნას სპეციალური დროებითი სამსახური, რომელიც მსგავს ნაგებობებს შეისწავლის და პრობლემაზე დროულ რეაგირებას მოახდენს.

- ავარიული სახლების ჩანაცვლების საკითხი მაქვს დღევანდელ სხდომაზე წარდგენილი, კერძოდ, ბათუმის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცება, სადაც განხილული იქნება ავარიული სახლების დამტკიცებისა და განცხადების განხილვის, ავარიულობის განსაზღვრის საკითხი. მრავალი რამ, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია პრობლემის მოსაგვარებლად, - განაცხადა ბათუმის მერიის მუნიციპალური ქონებისა და სერვისების მართვის სამსახურის უფროსმა დავით კოპინაძემ.

განხორციელებული და მიმდინარე პროექტები შეაჯამეს

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) საქართველოს მისიის ხელმძღვანელს სანია სელებიჩ-ლუკოვაცის შეხვდა. სამინისტროში გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ მინისტრის მოადგილეები მარი ზანაქიძე და ზურაბ თენიეშვილი, ასევე IOM საქართველოს კომუნიკაციების ოფიცერი ანა კაკუშაძე და IOM ბათუმის საველე ოფისის კოორდინატორი ნანა პაპიაშვილი.

შეხვედრაზე IOM-ის მიერ აჭარაში განხორციელებული და მიმდინარე პროექტები, კოვიდ პანდემიის პერიოდში გაწეული საქმიანობა შეაჯამეს და ერთმანეთს სამომავლო გეგმები გააცნეს. საუბარი შეეხო მიგრაციის კუთხით რეგიონის ბოლოდროინდელ გამოწვევებს და აჭარაში მყოფი უკრაინის მოქალაქეებისათვის სახელმწიფოს მიერ დაწესებულ შეღავათებსაც.

ნინო ნიჟარაძემ საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა აჭარაში განხორციელებული პროექტებისა და მიგრანტებისათვის გაწეული დახმარებისათვის.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია წლების განმავლობაში მუშაობს მიგრაციასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პრიორიტეტულ მიმართულებაზე, მათ შორისაა მიგრანტთა ჯანმრთელობის დაცვა, შრომითი მიგრაცია და ადამიანური რესურსის განვითარება. IOM მხარს უჭერს მიგრაციის პოლიტიკის შემუშავებასა და კვლევას, უზრუნველყოფს მიგრაციასთან დაკავშირებული ყველა სტრუქტურის შესაძლებლობების გაძლიერებას.

ანკა ჩხიკვაძე

დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

რა განცხადებები გაკეთდა საგაზაფხულო სესიის ბოლო პლენარულ სხდომაზე?

ნანა აბულაძე 577 20 35 90

აჭარის საკანონმდებლო ორგანოში 16 ივნისს საგაზაფხულო სესია პლენარული სხდომით დაიხურა. სანამ უშუალოდ დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე გადავიდოდნენ, დეპუტატებმა განცხადებები გააკეთეს. „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატების კომენტარები, ძირითადად, ევროკავშირის კანდიდატობის სტატუსს ეხებოდა და იმას, რომ აუცილებელია ქვეყანამ, მოსახლეობამ, მმართველმა გუნდმა, ერთხმად და მკაფიოდ დააფიქსირონ პოზიცია, რომ ჩვენი ისტორიული არჩევანი ევროპული გზაა და ამ გზას არ გადავუხვევთ.

„რაც უფრო ვუახლოვდებით დროს, როცა უნდა მოგვანიჭონ ევროკავშირის წევრობის სტატუსი, სამწუხაროდ, უფრო და უფრო ძლიერდება ხელისუფლების ანტიდასავლური კამპანია. ამ ყველაფერს ემატება ის შემაშფოთებელი განცხადებებიც, რომ თურმე ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ სანქცია არის ხალხის და საქართველოს წინაღმდეგ სანქცია. უფრო უარესიც, „ქართული ოცნების“ ზოგიერთმა წარმომადგენელმა ღიად განაცხადა, რომ თუ ბიძინა ივანიშვილი დაასანქციირეს, უარს იტყვიან კანდიდატის სტატუსზე. მე გეკითხებით „ქართული ოცნების“ თითოეულ დეპუტატს, თუ ბიძინა ივანიშვილს დაუწესეს სანქციები, თქვენ უარს იტყვით ევროპულ არჩევანზე? სხვათა შორის, აქვე დავძენ, დუმილი განიხილება იმად, რომ თქვენ არ ჩაყვებით ივანიშვილს და დაუჭერთ ევროპულ მომავალს მხარს“, - აღნიშნა „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატმა გია აბულაძემ და მოითხოვა, დეპუტატებს მმართველი გუნდიდან ეპასუხათ კითხვისთვის - პროგრესული სამყაროსკენ ვაპირებთ გზის გაგრძელებას, თუ რკინის ფარდის უკან. „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატებმა კოლეგებს მმართველი გუნდიდან მოუწოდეს, გვერდით გადადონ უთანხმოებები და აღნიშნულ საკითხში იყვნენ ერთიანები.

„ალბათ, ნებისმიერ პატრიოტ მოქალაქეს აქვს მოლოდინი და დიდი სურვილი, რომ მოგვენიჭება ის სტატუსი, რასაც რეალურად ვიმსახურებთ. თუ დღეს უკრაინაში ომია, ეს ომი ჩვენთანაც იყო, ჩვენც საკუთარი სისხლის ფასად გვაქვს მონიჭებული ის პრივილეგია, რასაც საკანდიდატო სტატუსი ითვალისწინებს“, - უპასუხა კოლეგას „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ლადო მგალობლიშვილმა.

იხ. მე-4 გვ.

სეზონისთვის მზად არიან

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა 2022 წლის ზაფხულის სეზონისთვის მზადყოფნა დაასრულა. ბათუმში ტურისტული სეზონისთვის მზადყოფნას სამსახურის უფროსი თეიმურაზ მღებრიშვილი და აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე გაეცნენ

ღონისძიების ფარგლებში, შავი ზღვის სანაპირო ზოლზე გამოფენილი იყო როგორც სახმელეთო, ასევე, საზღვაო სპეციალური ტექნიკა და აღჭურვილობა. ოფიციალური ცერემონიის დასრულების შემდეგ, ადგილზე მოეწყო წყალზე სამაშველო ოპერაციის სიმულაცია, რომელშიც პირად შემადგენლობასთან და სპეციალურ ტექნიკასთან ერთად, ჩართული იყო საფრენი აპარატი დრონი.

წელს საზღვაო სეზონზე, მთელი საქართველოს მასშტაბით, ზღვის, მდინარეების და ტბების სანაპირო ზოლებზე ევროპული სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი 320 მეხანძრე-მაშველი იმუშავებს, გარდა ამისა, მობილიზებული იქნება 50 ერთეული მცურავი საშუალება და 8 კვადროციკლი.

შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებით, სეზონური მაშველები წელს გაზრდილი ხელფასით იმუშავებენ, წინა წლებთან შედარებით ისინი 25%-ზე მეტ შრომის ანაზღაურებას მიიღებენ.

ანკა ჩხიკვაძე

შეხვედრა – ბათუმის მერიაში

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

არჩილ ჩიქოვანი ჰანზას პარლამენტის ხელმძღვანელ ქრისტიან ვილდტს და აღმოსავლეთ ევროპის საბინაო ინიციატივის პროექტის მენეჯერ იოჰან შტრეიზეს შეხვდა

შეხვედრაზე განიხილეს აჭარის რეგიონში დუალური განათლების მოდელის დანერგვასთან დაკავშირებით მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობები. სტუმრებმა გააზიარეს გერმანული გამოცდილება კერძო კომპანიების ჩართულობის კუთხით. საუბარი შეეხო საბინაო სექტორში არსებულ გამოწვევებს, პროფესიული განათლების პროგრამებს, ასევე, საბინაო ამხანაგობების განვითარებას, რათა მათ უკეთესად შეძლონ შენობა-ნაგებობების მოვლა-პატრონობისა და უსაფრთხოების კუთხით არსებულ გამოწვევებთან გამკლავება. შეხვედრაზე, ასევე, განიხილეს ბათუმის მერიის საჭიროებები სამშენებლო და საბინაო სექტორში პროფესიული სამუშაო ძალის კუთხით. აღინიშნა, რომ გერმანელი პარტნიორები დაინტერესებულნი არიან საქართველოში დუალური განათლების მოდელის დანერგვის ხელშეწყობითა და, მათ შორის, აჭარის რეგიონში სასწავლო პროგრამების განხორციელებით.

შეხვედრას აჭარის დასაქმების სააგენტოს ხელმძღვანელი თემურ კახიძე და განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე ლიკა კილაძე ესწრებოდნენ.

მალე საკუთარი ჭერი ექნებათ

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

შარშან შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ წაბლანაში ხანძარმა დავით თურმანიძის საცხოვრებელი სახლი შთანთქა. დავითი და მისი ოჯახი მეზობელმა შეიკედლა. დაზარალებულ ოჯახს აჭარის მთავრობა 20 ათასი ლარით დაეხმარა. გარკვეული თანხა სოფელშიც შეუგროვეს. დავითი სოფელს არ ტოვებს, ძველის ადგილზე ახალი სახლის მშენებლობა წამოიწყო. პირველი სართული რკინა-ბეტონის იქნება. მეორე - ხის.

ოსტატებად თანასოფლელები ბადრი ჭურკვეიძე და შალვა ზოიძე მოიწვია. უკვე პირველი სართულის აშენებას ამთავრებენ. დავითის ახალმშენებლობა შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, მისმა პირველმა მოადგილე გიორგი დავითაძემ, კომისიის თავმჯდომარე ბადრი ივანაძემ მოინახულეს და დავითის სოციალურად დაუცველ ოჯახს წითელი ჯვრის მიერ ორგანიზებული პაკეტი გადასცეს.

- მეზობლების, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენელთა თანადგომა არ მაკლდა, მაგრამ ღია ცის ქვეშ დარჩენის შემდეგ მათი როლი უფრო კონკრეტული და ორგანიზებულია. სულ მალე ჩემს ოჯახს საკუთარი ჭერი ექნება, - გვითხრა დავითმა.

გასვლითი შეხვედრა – კირნათში

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის, ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა სამსახურის ორგანიზებით, კირნათის ადმინისტრაციულ ერთეულში, მოსახლეობასთან შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრის მიზანი მოსახლეობის პრობლემების ადგილზე გაცნობა და მათი მოგვარების გზების დასახვა იყო, ასევე, მოქალაქეებისათვის არსებული პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

შეხვედრას ესწრებოდნენ ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა სამსახურის და ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი, ხელვაჩაურის სატყეო სააგენტოს უფროსი და მერის წარმომადგენლები.

მსგავსი ტიპის შეხვედრები მუნიციპალიტეტში გაგრძელდება.

ახალი სამსახური – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ახალი სამსახური, ა(ა)იპ „მუნიციპალური ინსპექციის, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“ შეიქმნა

სამსახურის მთავარი ამოცანაა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამშენებლო ზედამხედველობა და დარღვევის ფაქტების გამოვლენა, თვითმმართველი ერთეულის იერსახეზე, გარეგაჭრობის, რეკლამის, აბრის განთავსების, უსახური და ამორტიზებული შენობა-ნაგებობების, ჯიხურების, ავტოფარეხების სადემონტაჟო ღონისძიებების განხორციელება, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, ტროტუარების, პარკების, სკვერების, შადრევნების, გარეგანათების ობიექტების, სანიაღვრე არხების, წყალსაცავების, ხიდების და სხვა ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია, მშენებლობა-აღჭურვა და ა.შ.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერმა კახაბერ ფუტკარაძემ „ხელვაჩაურის მუნიციპალური ინსპექციის“ დირექტორ მანუჩარ მანველიძესთან და სამსახურის ხელმძღვანელებთან ერთად, სამუშაო შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე ისაუბრეს მიმდინარე და განსახორციელებელ პროექტებზე და კოორდინირებული მუშაობის გეგმები დასახეს.

უკრაინაში მიმდინარე ომი მრავალი ქვეყნის ბედს გადაწყვეტს

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

მეოთხე თვეა, რაც რუსეთი ფართომასშტაბიან ომს აწარმოებს უკრაინაში. კრემლი ცდილობს, საერთაშორისო არენაზე თავი დაზარალებულ სახელმწიფოდ წარმოაჩინოს და სწორედ ამ კუთხით ვლინდება რუსეთის ფარისევლობა.

რუსეთი პროპაგანდისტული მედიასაშუალებების და ზოგიერთი დასავლელი პოლიტიკოსის საშუალებით ავრცელებს მოსაზრებას, რომ მსოფლიოში ანტირუსული განწყობებია, რუსეთის მოქალაქეები იჩაგრებიან დაწესებული სანქციების გამო და თურმე რუსეთი უკრაინაში ნაცისტურ რეჟიმს ებრძვის. უკრაინელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სახელმწიფომ დასავლეთში რუსული პროპაგანდა გაანეიტრალა, რაც მრავალისმთქმელია, რადგან კრემლის დამარცხება ამ საქმეში დიდი გამარჯვებაა. მოსკოვს კარგად გამოსდის ტვინების გამორეცხვა მთელ მსოფლიოში. შორს რომ არ წავიდეთ, ჩვენი ქვეყანა ამის თვალსაჩინო მაგალითია. 90-იან და 2008 წლებში რუსეთმა, გარკვეულწილად, შეძლო მსოფლიო თანამეგობრობის ზომბირება საქართველოს საზიანოდ, უფრო სწორად, ელცინის და მით უფრო პუტინის მიმართ უფრო პრინციპულები რომ ყოფილიყვნენ, ანუ თავიდანვე უარი ეთქვათ რუსულ გაზზე და ეზრუნათ ალტერნატიულ ენერგორესურსებზე, სავარაუდოდ, მსოფლიო ამ ომის მომსწრე არ იქნებოდა. მაგრამ მაშინ დასავლეთს ჩვენთვის არ ეცალა, მათთვის მთავარი იყო რუსეთი როგორმე დათანხმებულიყო ბალტიისპირეთის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გაერთიანებას ნატოში და ამავე დროს იუგოსლავიის დაშლისამტეზე, როდესაც საქართველოს და უკრაინას მაპი არ მიანიჭეს... ახლაც ვთვლი, რომ მაკრონი არ უნდა შეხვდეს პუტინს, ის უნდა იყოს იზოლირებული, არცერთი გავლენიანი ლიდერი არ უნდა შეხვდეს, რათა რუსეთის ელიტამ, ბოლოს და ბოლოს, პუტინი მოიშოროს“. ამ მხრივ უფრო შემაშფოთებელი იყო გავლენიანი ამერიკელი მაღალჩინოსნის კისინჯერის განცხადება უკრაინასთან მიმართებით: „უკრაინამ უნდა დაუთმოს რუსეთს ყირიმი და აღმოსავლეთ უკრაინის ქა-

თუ რუსეთის მიმართ არ განხორციელდება მძლავრი ზეწოლა, მაშინ თავსატეხი თავად ნატოს წევრ სახელმწიფოებსაც შეექმნებათ, ამიტომაც ამოქმედდა ეკონომიკური სანქციები, რამაც შედეგი გამოიღო - რუსეთის ეკონომიკა არასახარბიელო მდგომარეობაშია...

დასავლეთმა თავი მოიტყუა და „განტენბაინის“ (ადამიანი, რომელიც სპეციალურად იბრძვებს თვალს) მანტია მოირგო, არ სურდა პუტინის გაღიზიანება, რამაც ჩვენი ქვეყანა მნიშვნელოვნად დააზარალა. ანალოგიურად მოიქცა დასავლეთი 2014 წელს რუსეთის მხრიდან ყირიმის ანექსიისას, მაგრამ ახლა, როდესაც კრემლმა მთელი უკრაინის დაპყრობა განიზრახა, დასავლეთი გამოფხიზლდა და დასავლური მანქანა ამუშავდა სხვადასხვა მიმართულებით. სწორედ აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის ძალისხმევის შედეგად უმკლავდება უკრაინა რუსეთის აგრესიას. რუსული პროპაგანდა რომ თავის საწადელს ვერ აღწევს, ესეც სწორედ დასავლეთის დამსახურებაა, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, კრემლს თავისი ლობისტები ჰყავს მსოფლიოში, რომლებიც რუსეთის ქმედებებს გარკვეულწილად ამართლებენ, ამ მხრივ რამდენიმე ლიდერის დასახელება შეიძლება.

მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის პრეზიდენტი გერმანიის და იტალიის ლიდერებთან ერთად ამას წინათ კიევში იმყოფებოდა და უკრაინას მხარდაჭერა გამოუცხადა, მისი გზავნილები, განცხადებები ორაზროვან შთაბეჭდილებას ტოვებს. ის დროდადრო კრემლის პოზიციებს აყოლერებს, თქვა, რომ რუსეთი არ უნდა დავამციროთ, თურმე პუტინი სამხედრო დამნაშავე არ არის. რა იგულისხმა ამ გამონათქვამში მაკრონმა? ომში ან მარცხდები, ან იმარჯვებ, ომი სპორტი არ არის, რომ ღირსეულად დამარცხდე. გამოდის, რუსეთს უნდა შერჩეს უკრაინელთა ხოცვა-ჟლეტა, ბუჩას, მარიუპოლის ტრაგედია?! მსგავსი განცხადებები ისმის უნგრეთის პრემიერისგან, სამწუხაროდ, გერმანიაც დიდად არ იკლავს თავს უკრაინის სუვერენიტეტის დასაცავად. მაგალითად, აყოვნებს მძლავრი შეტევითი შეიარაღების გადაცემას უკრაინისთვის. მათგან ეს არაა გასაკვირი. სამწუხაროდ, გერმანიამ და საფრანგეთმა დაბლოკეს ბუქარესტის სამიტზე უკრაინისა და საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭება, რასაც მოჰყვა 2008 წლის აგვისტოს ომი. გარკვეულწილად, დასავლეთსაც მიუძღვის ბრალი პოსტსაბჭოთა ქვეყნების ტრაგედიებში, ისინი სთვის ხელი არ შეეშალა. ასეც მოხდა. გარდა ამისა, ევროპაში მოიძებნებიან ისეთი ქვეყნები, რომლებიც რუსეთის ინტერესებს ლობირებენ. ესენია: საფრანგეთი და გერმანია.

უნდა ითქვას, რომ საფრანგეთი გარკვეულწილად, ყოველთვის რუსეთის ინტერესებს იცავდა მსოფლიოში. ეს გამოწვეულია იმით, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სტალინმა აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის საწინააღმდეგოდ საფრანგეთი მეორე მსოფლიო ომში ერთ-ერთ გამარჯვებულ ქვეყნად გამოაცხადა, არადა, რეალურად საფრანგეთს არ შეუსრულებია ძირითადი როლი გერმანიის დამარცხებაში, მაგრამ როცა ზესახელმწიფო (საბჭოთა კავშირი) მოწყალების კალთას გადაგაფარებს, ყველაფერი შეიძლება. ამ მხრივ საინტერესო აზრისაა რუსი პოლიტოლოგი ანდრეი პიანტკოვსკი: „სამწუხაროდ, საფრანგეთი რუსეთისა და აშშ-ის დაპირისპირებაში რუსეთის ინტერესებს ლობირებდა და ეს გამოვლინდა თუნდაც 2007 წლის ნატოს სამიტზე, როდესაც საქართველოს და უკრაინას მაპი არ მიანიჭეს... ახლაც ვთვლი, რომ მაკრონი არ უნდა შეხვდეს პუტინს, ის უნდა იყოს იზოლირებული, არცერთი გავლენიანი ლიდერი არ უნდა შეხვდეს, რათა რუსეთის ელიტამ, ბოლოს და ბოლოს, პუტინი მოიშოროს“. ამ მხრივ უფრო შემაშფოთებელი იყო გავლენიანი ამერიკელი მაღალჩინოსნის კისინჯერის განცხადება უკრაინასთან მიმართებით: „უკრაინამ უნდა დაუთმოს რუსეთს ყირიმი და აღმოსავლეთ უკრაინის ქალაქები, რომ ომი შეწყდეს“.

მსგავსი განცხადებები ისმის ევროპისა და ამერიკის მედიასაშუალებებში, რასაც უკრაინის ხელისუფლების უმწვავესი გამოხმაურება მოჰყვა, მაგალითად, ერთ-ერთმა უკრაინელმა მაღალჩინოსანმა მოსწრებულად თქვა, რომ საფრანგეთის ლიდერს შეუძლია საკუთარი ტერიტორიები დაუთმოს რუსეთსო.

კრემლის საზიანო განცხადება გააკეთა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა: „აშშ შეძრავს ცასა და დედამიწას, რათა დარწმუნდეს, რომ უკრაინა რუსეთს დაამარცხებს“. რუსეთის დამარცხების ჯერჯერობით რა მოგახსენოთ, თუმცა უკრაინა რომ უმკლავდება რუსეთს, სწორედ დასავლეთის მხარდაჭერის შედეგია, არადა, რუსეთის ომის პირველი მიზანი კიევის აღება, ქვეყნის „დემილიტარიზაცია და დენაციფიკაცია“ იყო. მოსკოვმა ეს ვერ შეძლო. მეტიც, უკრაინას დასავლეთის უპრეცედენტო მხარდაჭერა აქვს, ხოლო მოსკოვი სანქციებს და ეკონომიკურ გამოწვევებს უმკლავდება. ამ ფონზე რუსეთი ცდილობს, კიევს ზარალი მიაყენოს, ახდენს პორტების ბლოკადას, რაც მსოფლიოს შიმშილობის საფრთხის წინაშე აყენებს. დიახ, რუსეთის აგრესიამ უკრაინის მიმართ მსოფლიო თანამეგობრობა სულ სხვა რეალობის წინაშე დააყენა. კერძოდ, თუ რუსეთის მიმართ არ განხორციელდება მძლავრი ზეწოლა, მაშინ თავსატეხი თავად ნატოს წევრ სახელმწიფოებსაც შეექმნებათ, ამიტომაც ამოქმედდა ეკონომიკური სანქციები, რამაც შედეგი გამოიღო - რუსეთის ეკონომიკა არასახარბიელო მდგომარეობაშია, ხოლო თუ დასავლეთი რეალურად გადაწყვეტს, აამოქმედოს უფრო მკაცრი სანქციების სერია (რაც გულისხმობს მაღალი რუსი ჩინოვნიკების საბანკო ანგარიშების დაბლოკვას და გაზმომარაგებაზე უარის თქმას), ეს რუსეთს უფრო დააზარალებს, ვიდრე დასავლეთს, ყოველ შემთხვევაში ასე ამბობენ ექსპერტები: „დასავლეთის სახელმწიფოებთან ღია კონკურენციაში რუსეთი აშკარად მარცხდება. ეკონომიკური კრახის წინაშე მდგომ რუსეთს პოლიტიკური სტაბილურობისთვის, მოჩვენებითი დიდების შესანარჩუნებლად და ეკონომიკური სიდუხჭირის გასამკლავებლად შიდა მომსახურების მითი სჭირდება, ანუ მტრის ხატი - ყველა ჩვენ წინააღმდეგაა, მთელი მსოფლიო ჩვენ გვებრძვის უკრაინაში და სურთ რუსეთის დაშლა და ა. შ. ამ მითით კვებავენ ხალხს და ახალი ომისთვის ამზადებენ, აქედან გამომდინარე, მომდინარეობს ზიზღი და აგრესია დასავლეთისადმი“, - აცხადებს პოლიტოლოგი გელა ირემაძე.

მსოფლიო ლიდერები (პოლონეთი, ბალტიისპირეთი, დიდი ბრიტანეთი...) ბოლო დროს ხშირად საუბრობენ იმის შესახებ, რომ რუსეთის პრეზიდენტი ომის დამნაშავეა. რა მოხდება, თუ დადასტურდა, რომ რუსეთმა ომის დანაშაული ჩაიდინა? ბუჩას ტრაგედია სწორედ რუსეთის დანაშაულზე მეტყველებს, სხვათა შორის, ლატვიამ, ესტონეთმა, პოლონეთმა დაადანაშაულეს რუსეთი უკრაინელი ერის მიმართ გენოციდის ფაქტებში. თუ რუსეთს ამ მხრივ დანაშაული დაუმტკიცეს, ეს მის იმიჯს მსოფლიოში შეარყევს, იმედია, უკრაინული მხარე უტყუარ მასალებს გაუგზავნის ჰაგის სასამართლოს უკრაინაში კრემლის დანაშაულის დასამტკიცებლად, ისიც ცხადია, რომ რუსეთის დამარცხება ან გამარჯვება უკრაინაში უამრავი ქვეყნის ბედს გადაწყვეტს. თუ რუსეთი აქ დამარცხდა, ეს მნიშვნელოვნად დაარჩარებს საქართველოს და, მით უფრო, უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, რაც დასავლეთმა უნდა გაითვალისწინოს და ამ მხრივ ქმედითი ნაბიჯები გადადგას.

უკრაინას და მოლდოვას - კანდიდატის სტატუსი, საქართველოს კი...

„კომისია რეკომენდაციას იძლევა საბჭოსადმი, რომ უკრაინას მიეცეს ევროპერსპექტივა და, ამავე დროს, კანდიდატის სტატუსიც. ეს იმის საფუძველზე უნდა მოხდეს, რომ განხორციელდება შემდგომი რეფორმები. ევროკომისია ევროპულ საბჭოს რეკომენდაციას აძლევს, უკრაინას და მოლდოვას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიანიჭოს, საქართველოსთან დაკავშირებით კი აცხადებს, რომ საკითხს კონკრეტული პირობების შესრულების შემდეგ დაუბრუნდება“, - შესაბამისი განცხადება ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა ბრიუსელში გუშინ გამართულ ბრიფინგზე გააკეთა.

„ჩვენ ერთი ნათელი გზავნილი გვაქვს - დიახ, უკრაინა იმსახურებს ევროპულ პერსპექტივას, დიახ, უკრაინა იმსახურებს კანდიდატის სტატუსს. რაც შეეხება მოლდოვას, ჩვენ აქაც ვიძლევით რეკომენდაციას, რომ მოლდოვას მიეცეს ევროპული პერსპექტივა და კანდიდატის სტატუსი. რაც შეეხება საქართველოს, იზიარებს იგივე პოტენციალს, რომელიც უკრაინასა და მოლდოვას აქვს, მისი განაცხადი ძლიერია, თუმცა წარმატებისთვის ქვეყანამ უნდა განსაზღვროს სტრუქტურული რეფორმების დღის წესრიგი. ვიძლევით რეკომენდაციას, ევროპული პერსპექტივა მიენიჭოს საქართველოს, წევრობის საკითხს კი პირობების შესრულების შემდეგ დავუბრუნდებით“, - განაცხადა ევროკომისიის პრეზიდენტმა.

ამირან გურიელიძე

უცხოეთი

ჩვენ დავასრულეთ მზადება მადრიდის ნატოს სამიტისთვის, რომელიც ორ კვირაში გაიმართება. რუსეთის ომმა უკრაინის წინააღმდეგ უდიდესი საფრთხე შეუქმნა ჩვენს უსაფრთხოებას ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ამიტომ ჩვენ უნდა განვსაზღვროთ ნატოს პასუხი გრძელვადიან პერსპექტივაში, - განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა ბრიუსელში თავდაცვის მინისტრების დონეზე ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ორდღიანი შეხვედრის შემდეგ. იენს სტოლტენბერგმა გამოთქვა რწმენა, რომ მადრიდის შეხვედრა იქნება ტრანსფორმაციის სამიტი და მიღებული იქნება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.

* * *

„რუსეთი თეთრი და ფუმფულა არ არის. რუსეთი არის ის, რაც არის. ჩვენ არ გვრცხვენია, ვაჩვენოთ ჩვენი თავი ისეთი, როგორებიც ვართ“, - ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა BBC-სთან ინტერვიუში განაცხადა. „ჩვენ უკრაინაში არ შეგჭრილვართ, ჩვენ გამოვაცხადეთ სპეციალური სამხედრო ოპერაცია, რადგან სხვა გზა არ გვქონდა, აგვეხსნა დასავლეთისთვის, რომ ის დანაშაულებრივი საქმიანობითაა დაკავებული, როდესაც უკრაინას ნატოში ითრევს“, - აღნიშნა მან და გაიმეორა კრემლის ოფიციალური პოზიცია, რომ უკრაინაში ნაცისტები არიან.

* * *

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი კიევში გერმანიის კანცლერ ოლაფ შოლცს, საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონს, იტალიის პრემიერ-მინისტრ მარიო დრაგსა და რუმინეთის პრეზიდენტ კლაუს იოჰანისს შეხვდა. ევროპის ოთხი ქვეყნის ლიდერების განცხადებით, ვიზიტის მიზანი უკრაინისა და უკრაინელი ხალხის მიმართ მხარდაჭერისა და სოლიდარობის გამოხატვა, ასევე იმის ხაზგასმაა, რომ დახმარება, რომელსაც უკრაინას აწვდიან, გაგრძელდება, სანამ საჭირო იქნება. ევროპელმა ლიდერებმა უკრაინას ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღებაში მხარდაჭერა აღუთქვეს. პრეზიდენტ ზელენსკისთან შეხვედრამდე ისინი ქალაქ ირპინში იმყოფებოდნენ.

* * *

„პრეზიდენტი პუტინი ჯერ არ არის მზად დათმობაზე წასასვლელად, მაგრამ უკრაინელებიც, რომლებიც ახლა თამამად და გმირულად ეწინააღმდეგებიან მას, არ არიან მზად რაიმე დათმობისთვის. ამიტომაც ჯერ არ დამდგარა მომენტი, რომ ვისაუბროთ ომის დასრულებაზე, კომპრომისებზე“, - განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა. მისი თქმით, პუტინმა, მეზობელ ქვეყანაზე თავდასხმით, დიდი შეცდომა დაუშვა. „მან დაუშვა ძალიან საბედისწერო შეცდომა, ჩააგდო თავისი ქვეყანა ისტორიულ უფსკრულში, თავს დაესხა რა მეზობელს და დაარღვია მისი სუვერენიტეტი. უახლოესი კვირები აჩვენებს, სად გადის შესაძლებლობის ზღვარი, მაგრამ ჯერ უკრაინის არმიამ მტკიცე წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს მას და ჩვენ დავეხმარებით ამაში“, - განაცხადა ემანუელ მაკრონმა.

მოამზადა
ია შველიძემ

„დიახ, მე ვარ ქალი მექანიკოსი და ჩემი ადგილი არის გემზე“

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

ყველა პროფესია შრომას და სიყვარულს მოითხოვს, მაგრამ მეზღვაურობა, მაინც განსაკუთრებულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. არ აქვს მნიშვნელობა, კაპიტანი ხარ, მექანიკოსი თუ მოტორისტი, გემზე ყველა საქმე და გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა

იმისთვის, რომ გემზე მუშაობა შეძლოთ, პირველ რიგში, აუცილებელია, ნებისყოფა და პროფესიონალიზმი, რათა ძალიან საპასუხისმგებლო საქმეს თავი ღირსეულად გაართვათ. შორეულ ნაოსნობას მხოლოდ მამაკაცები არ ირჩევენ. ამ საქმეს ქალებიც სწავლობენ და დარწმუნებულნიც არიან, რომ ეს სწორი არჩევანია. 21 წლის მარი გურგენიშვილი ერთადერთი მეზღვაური ქალია, მექანიკოსი, საქართველოში. მან გაზეთ „აჭარასთან“ ინტერვიუს დასაწყისშივე გაუსვა ხაზი: „დიახ, მე ვარ ქალი მექანიკოსი და ჩემი ადგილი არის გემზე, უფრო კონკრეტულად - სამანქანე განყოფილებაში!“.

- რატომ აირჩიე მეზღვაურის პროფესია, კერძოდ, გემის მექანიკოსობა?

- 14 წლის ასაკში გადავწყვიტე, რომ გავმხდარიყავი მეზღვაური, კერძოდ, გემის მექანიკოსი. ოჯახის წევრი მყავს მეზღვაური, მთავარი მექანიკოსი და როცა ის მიყვებოდა თავისი პროფესიის შესახებ, ზუსტად მაშინ გადავწყვიტე ამ საქმეს დავუფლებოდი. ვიცოდი, რომ წინ ბევრი ბარიერი მელოდებოდა, მაგრამ ფსიქოლოგიურად მზად ვიყავი და ასეც მოხდა. ბევრი რამ მოვისმინე ამ პროფესიასა და ჩემს გადაწყვეტილებაზე, რომ კარგად უნდა დავფიქრებულიყავი. დიახ, დავფიქრდი და ვარ იქ, სადაც მინდოდა, რომ ვყოფილიყავი და ვაკეთებ იმ საქმეს, რაც სიამოვნებას მანიჭებს. მართალია, რასაც ამბობენ - ბედნიერია ის ადამიანი, რომელსაც საკუთარი საქმე უყვარს. სწორედ შენი საქმის სიყვარული გხდის წარმატებულს, მოტივირებულსა და მოთხოვნადს. სიყვარულის გარეშე შეუძლებელია მიაღწიო პოზიტიურ შედეგს და გქონდეს იმის სურვილი, რომ ისწავლო, ცადო რამე ახალი და გახდე ნამდვილი პროფესიონალი.

რაიმე განსაკუთრებულის, განსხვავებულისა და დასამახსოვრებლის შექმნის სურვილი უჩნდება ყველა პროფესიის ადამიანს და მეც ერთ-ერთი მათგანი ვარ.

- შენი პროფესიის დადებით და უარყოფით მხარეებზე რას გვეტყოდი? რა სირთულეებთან არის დაკავშირებული?

- პერსონალის დამოკიდებულება ძალიან მნიშვნელოვანია. მათი დამოკიდებულების მიხედვით გიადვილდება ან გირთულდება გემზე ცხოვრება. მე ჯერჯერობით არაფერი გამრთულებია. დადებითი ის არის, რომ გამოცდილებით და ცოდნით სავსე ტოვებ გემს. ზღვაში იმას გამოცდი, რასაც ხმელეთზე მხოლოდ ტელევიზორში თუ ნახავ და მოისმენ. ეს მართლაც ის პროფესიაა, რომელიც დიდ რისკებთან არის დაკავშირებული. შუა ზღვაში ხარ, მთლიანად ზღვას მინდობილი. წყნარია, მაგრამ როდის აღელდება, არ იცი.

- აქვს თუ არა მექანიკოსს შეცდომის დაშვების უფლება?

- „უშეცდომო ადამიანი არ არსებობს“. მექანიკოსებიც ადამიანები ვართ, ასე რომ, გვაქვს შეცდომის დაშვების უფლება, მაგრამ დიდი ყურადღება გვმართებს თითოეული ქმედების დროს, რადგან „გემის გული“ გვაბარია, - ასე ვიტყოდი. სწორედ გადადგმულ ნაბიჯებში, მოქმედებაშია ცხოვრება და განვითარებაც, შესაბამისად, უკეთესი მომავალიც მხოლოდ პერმანენტული და მუხლჩაუხრელი მუშაობით მიიღწევა. ამიტომ დრო ფიქრისთვის - შეცდომა არ მომივიდესო, არ უნდა დაკარგო, მაგრამ უნდა გააკეთო ყველაფერი, რომ გამოუსწორებელი შეცდომა არ გაგეპაროს.

- გაიხსენე საინტერესო ისტორია, რომელიც გემზე გადაგხდა...

- ჩემთვის ის დრო, რაც გემზე გავატარე, საინტერესო იყო, რადგან უამრავი რამ გავაკეთე, რაც მანამდე არ გამიკეთებია ხმელეთზე. ასევე, ახალი ადამიანები გავიცანი, იმის გამოცდილება მივიღე, როგორ გავიტანო თავი უცხო ქვეყნის წარმომადგენლებთან. ჩემი პროფესიის კუთხით უდიდესი ცოდნა შევიძინე. ჯერ ასე ცალკე ისტორიას ვერ გავიხსენებ, მაგრამ გეტყვით, წარმოგიდგენიათ, როგორია თავისუფლება იქ, სადაც მხოლოდ ცა, ლურჯი ოკეანე და დაუსრულებელი ჰორიზონტია? ეს პეიზაჟი ბევრ ადამიანში განსხვავებულ ასოციაციებს გამოიწვევს, მაგრამ ალბათ ძალიან ცოტა გააიგივებს ამ სივრცეს სამუშაო გარემოსთან. ისინი, ვისაც ასეთი განცდა უჩნდება, საკმაოდ სარისკო, მაგრამ ძალიან საინტერესო პროფესიის ადამიანები - მეზღვაურები არიან. ყოველი დღე საინტერესოა ამ უკიდეგანო, გაშლილ სივრცესა და თავისუფლებაში.

- როგორია საზოგადოების დამოკიდებულება შენი პროფესიის მიმართ?

- საზოგადოების დიდ ნაწილს უკვირს, არასერიოზულად უყურებენ ჩემს არჩევანს. მეკითხებიან, რატომ მაინცდამაინც მექანიკა და არა ნავიგაცია? ნამდვილად მინდოდა თუ არა ამ პროფესიაზე სწავლა ან მუშაობა? მშობლებს არ ეცოდები, რატომ გიშვებენ ზღვაში? ქალს რა უნდა გემზე? მაგრამ არის საზოგადოების ნაწილი, რომელიც დადებითად უყურებს ამ საკითხს, მამხნევებს, წარმატებებს მისურვებს, ზოგიერთი ახლობელი მეუბნება, რომ ვეამაყები. სწორედ ასეთი ადამიანების არსებობა მაძლევს იმ ძალას და ენერგიას, რაც ჩემს საქმიანობას სჭირდება.

- რა არის შენი ოცნება?

- ადამიანისთვის ოცნება აუცილებელია. ის იმედის და მოტივაციის მომცემია და ენერგიას გვაძლევს, რომ წინ ვიაროთ. ზოგჯერ, როცა ძალიან დაღლილი, იმედგაცრუებული და დემოტივირებული ხარ, ერთადერთი, რაც გულს გითბობს და ფეხზე წამოდგომის ძალას გაძლევს, სწორედაც რომ ოცნებაა (სამყაროს შეცვლის, ბედნიერების, თვითრეალიზების ან სხვა „დიდი ოცნება“). მინდა, წარმატებას მივაღწიო ჩემს სფეროში. მიზნის ასრულებას მოქმედება სჭირდება და მე მზად ვარ ამ მოქმედებისთვის. თქვენს მკითხველს ვუსურვებ მიზნების მიღწევას და პროცესით სიამოვნების მიღებას.

რა განცხადებები გაკეთდა საგაზაფხულო სესიის ბოლო პლენარულ სხდომაზე?

მე-2 გვერდიდან

„პირველ რიგში, „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაყენებული საკითხი არის უსუსური. შეკითხვა - ბიძინა თუ ევროკავშირი, ეს იგივეა, ჩვენ რომ გკითხოთ თქვენ - ევროკავშირი თუ მიხეილ სააკაშვილი, ადამიანი, რომელმაც ყველაფერი რუსებს მიყიდა, თავიდან ბოლომდე ყველა სტრატეგიული ობიექტი რუსებს გადაუბარა. შეგახსენებთ, ჩვენ 2012 წლიდან შევუერთდით ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებას, რაც კანდიდატობაზე არანაკლები სტატუსია და რომელსაც ვასრულებთ ეტაპობრივად, გაწერილი დროისა და გეგმის მიხედვით. მივიღეთ უვიზო რეჟიმი ევროკავშირის ქვეყნებში. ევროკავშირის ქვეყნებში ქართული პროდუქცია დაუბრკოლებლად გადის და ეს ყველაფერი დაწყებულია ბიძინა ივანიშვილის პრემიერობის დროს, რაც ცხადყოფს, რომ ჩვენ გვაქვს არჩეული კურსი ევროპისკენ. ღრმად ვარ დარწმუნებული, ევროკავშირის და ევროპარლამენტის წევრები მიიღებენ საქართველოსთვის, მსოფლიოსთვის, ევროპისთვის გონიერ გადაწყვეტილებას და ჩვენ აუცილებლად გავხდებით ევროკავშირის კანდიდატი ქვეყანა, - აღნიშნა ტიტე არაშიძემ.

„ქართული ოცნების“ დეპუტატების განცხადებით, რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს ევროკავშირმა, ჩვენი ქვეყანა გააგრძელებს სვლას ევროპული ინტეგრაციისკენ.

„როცა აცხადებთ, რომ დეზინფორმაციის მსხვერპლია მთელი ევროპა, მინიმუმ, უხერხულია, ამ ქვეყნებს საელჩოები აქვს აქ, ათობით თანამშრომელი და თქვენ მართლა გგონიათ, რომ ელენე ხოშტარიას და ნიკა მელიას შეჰყავს შეცდომაში ვინმე? პირიქით, ელენე ხოშტარიას, ნიკა მელიას, მიხეილ სააკაშვილის და სხვების დამსახურებაა, რომ ამ უაზრო და შეურაცხმყოფელი განცხადებების მიუხედავად, ქართველ ხალხს აქვს შანსი ევროკავშირისგან მიიღოს ის, რასაც ახლა მიიღებს მოლდოვა და უკრაინა“, აღნიშნა ოპოზიციონერმა დეპუტატმა გიორგი კირთაძემ და მოუწოდა „ქართული ოცნების“ ლიდერებს, თავიანთი განცხადებებით ნუ ასხამენ რუსეთის წისქვილზე წყალს და გაემიჯნონ რუსულ ნარატივს.

„რაზე ვკამათობთ, გულწრფელად გითხრათ, ვერ მივხვდი. ამ დარბაზში ვერ წარმომიდგენია ადამიანი, ვისაც არ უნდა ევროპა, თუმცა, თქვენი პარტიის საქმიანობა განსხვავებულზე მეტყველებს. მთელ რიგ კომპანიებს ჩამოგითვლით, რომლის ნაწილი - ომამდე, ნაწილი კი ომის შემდეგ გადაეცით რუსეთს. ამიტომ ვამბობ, მე არცერთი თქვენგანის პიროვნულ არჩევანში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ თქვენი პარტიის ევროპულ საქმიანობაში ეჭვი მეპარება და ისევე, როგორც თქვენ არ გჯერათ ჩვენი ევროპელობის, უკაცრავად, მაგრამ ჩვენც დაგვიტოვეთ უფლება, რომ ანალოგიურად ვფიქრობდეთ თქვენზე, - უპასუხა ოპოზიციონერ კოლეგებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ და დასძინა, რომ ქართველმა ხალხმა დიდი ხნის წინ გააკეთა ევროპული არჩევანი, შესაბამისად, საქართველო ნაბიჯ-ნაბიჯ მიდის ევროპისკენ.

აღნიშნული განცხადებებისა და ერთმანეთის პოლიტიკური კურსის კრიტიკის შემდეგ, დეპუტატები დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვაზე გადავიდნენ. კანონმდებლებმა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2021 წლის საქმიანობის ანგარიში მოისმინეს, რომელიც მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარემ წარადგინა. გიგა ჩხარტიშვილმა პროგრამულ პრიორიტეტებზე ისაუბრა, ყურადღება გაამახვილა სოციოლოგიური კვლევების შედეგებზე, რეიტინგებზე, შიდა და გარე აუდიტის დასკვნებზე, ასევე, ისაუბრა იმ გამოწვევებზე, რაც მაუწყებელში არსებობს. აღნიშნული მოხსენების შემდეგ დეპუტატებმა მას საკმაოდ კრიტიკული შეკითხვები დაუსვეს, მათ შორის, აღნიშნეს, რომ ტელევიზიიდან ნაკლებად ისმის კრიტიკა, რაც რეალურად აინტერესებს საზოგადოებას. კითხვები დაისვა ტელევიზიიდან გათავისუფლებულ ჟურნალისტებზე, ტელევიზიის შენობაზე. გიგა ჩხარტიშვილის განცხადებით, ტელევიზიის ყველა ჟურნალისტი და, ზოგადად, ტელევიზია იმსახურებს ახალ შენობას.

- უკვე მესამე წელია, მიწევს უმაღლესი საბჭოს წინაშე გამოსვლა ყოველწლიური ანგარიშით. შეკითხვების ნაწილს პოლიტიკური ელფერი დაჰკრავს და ეს ბუნებრივია. ყველანაირად ვცდილობთ, რომ პოლიტიკური ელფერის გარეშე ვუპასუხოთ ყველაფერს და სხდომაზე არ დასმულა ისეთი შეკითხვა, რომელზეც პასუხი მრჩეველთა საბჭოს არ ჰქონია. რაც შეეხება ანგარიშის შინაარსს, კანონმდებლობა ითვალისწინებს ანგარიშში რა უნდა იყოს წარმოდგენილი, შესაბამისად, იგი სრულიად აკმაყოფილებს მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებს ანგარიშთან დაკავშირებით. პრობლემებს რაც შეეხება, ეს ანგარიში, როგორც წინა ანგარიშები, არის თვითკრიტიკული. ხაზგასასმელია მათ შორის ის, რომ საჭიროა ყოვლისმომცველი სისტემური რეფორმის ჩატარება, რათა მაუწყებლობის ხარისხი ამაღლდეს, რაც არის გადაუდებელი აუცილებლობა. მრჩეველთა საბჭოს სამართლებრივი ინსტრუმენტების ფარგლებში, ამის გაკეთება შეიძლება. რეფორმის შემდეგ, თუ მაუწყებლობისა და რესურსების გადანაწილება იქნება უკომპრომისო და სამართლიანი, მაშინ საზოგადოება გაცილებით ხარისხიან მაუწყებლობას მიიღებს. რაც შეეხება შენობის საკითხს, წლიდან წლამდე ეს საკითხი დგას, მესამე წელია უკვე ამაზე ვსაუბრობ. ჩვენ რომ რეფორმა გავატარეთ, ერთი მხრივ, კარგია, კარგია ისიც, რომ კანონში ეს ყველაფერი ჩაიწერა და სამართლებრივად ეს ინსტიტუცია გაჩნდა, თუმცა, თუ ამ ინსტიტუციას არ მივცემთ ინფრასტრუქტურას, ქაღალდზე დაწერილი დარჩება ყველაფერი. დეპუტატების იმ განცხადებას, რომ ტელევიზია მთავრობის მისამართით გაშუქების ჭრილში გახდა უფრო ლოიალური და აღარ ისმის კრიტიკა, ამ საკითხთან დაკავშირებით ტელევიზიის მიმართ კრიტიკულად განწყობილი ორგანიზაციის დასკვნა მაქვს, სადაც ცალმხრივად წერია, ნეიტრალური გაშუქების ტონი რამდენად მაღალია. სხვათა შორის, ნეგატიური გაშუქების ტონი, მათ შორის ხელისუფლების მიმართ, უფრო მაღალია, ვიდრე სხვა პოლიტიკური ჯგუფების მიმართ. ჩემი პოზიცია პირადად არის ის, რომ მაუწყებელი ფაქტებს უნდა აშუქებდეს ნეიტრალურად და სვამდეს კრიტიკულ შეკითხვებს. ერთ-ერთი დეპუტატის შეკითხვას, დირექტორის მიერ გათავისუფლებულ თანამშრომლებს დღევანდელი გადასახედიდან მოვუხდიდი თუ არა ბოდიშს, ვუპასუხებ, რომ აქ რამდენიმე თანამშრომელზე იყო საუბარი და კოლექტიურად თავმოყრა ყველასი არ შეიძლება. ეს არის ინდივიდუალური საქმეები, რომელშიც არსებობს ინდივიდუალური სპეციფიკა, საიდან გამომდინარეც შეიძლება იმსჯელოს ადამიანმა. საჯარო დისკუსიის საგანი ადამიანის დისციპლინური პასუხისმგებლობა არ არის და ვერ იქნება. ყველა კონკრეტულ საქმეს აქვს კონკრეტული შეფასების ნაწილი. მე, შესაძლოა, კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით სხვა გადაწყვეტილება მიმეღო როგორც მმართველს, მაგრამ მართვაში ვინც არის, იმან სხვა გადაწყვეტილება მიიღო. ჩემი ფუნქცია არის, სწორედ აღნიშნულთან დაკავშირებით, ანგარიშვალდებულების ნაწილში, მოვითხოვო ინფორმაცია, ჩემი შეფასება მქონდეს. ეს საკითხები ვერ იქნება ღიად განხილული, რადგან საქმე ეხება ადამიანის პერსონალურ ინფორმაციას, - განაცხადა გიგა ჩხარტიშვილმა, რომლის მიერ წარდგენილი ანგარიშიც უმაღლესმა საბჭომ ცნობად მიიღო.

სხდომაზე დადგენილების პროექტი „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, პირობებისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ უმაღლესი საბჭოს წევრმა - დავით გაბაიძემ წარადგინა. მისივე განმარტებით, პროექტის თანახმად, თითქმის ორჯერ იზრდება პროაქტიულად გამოსაქვეყნებელ საკითხთა ნუსხა და დადგენილების მიღების შემდგომ, საზოგადოების ფართო ფენებს, დაინტერესებულ პირებს, პროაქტიულად წვდომის საშუალება 29-ის ნაცვლად, 65-მდე სახის ინფორმაციაზე ექნება. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტი უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის 2020-2021 სამოქმედო გეგმით აღებული ვალდებულების შესაბამისად მომზადდა და საკანონმდებლო ორგანოს ღიაობას, გამჭვირვალეობასა და ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. რაც შეეხება სხდომის ბოლო საკითხს, ის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტს ეხებოდა, რომელიც დეპუტატებს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე მარინე გვიანიძემ წარუდგინა.

„არასდროს ვნებდები, რადგან ვიცი, ეს ქვეყანა ყველაფერს მომცემს, რაც მჭირდება“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ლადო ჭიქაშვილს (გერმანია)

საზოგადოება სოციალურ ქსელში ინეზა კემულარიას სახელით იცნობს. ახალგაზრდა ემიგრანტი უკვე წლებია, ბერლინშია და მეგრული იუმორით გაჯერებულ ვიდეო-სკეტჩებს აქტიურად აქვეყნებს. ლადომ მალევე მოიპოვა ხალხის სიყვარული და ინტერნეტსივრცეში საკმაოდ ბევრი გამომწერიც ჰყავს. ჩვენს ინტერვიუში იგი გერმანიაში წასვლაზე გვესაუბრება და მის პერსონაჟზეც ბევრ საინტერესო დეტალს გვიმხელს.

- ლადო, თქვენს ბავშვობასა და ოჯახზე გვიამბეთ...

- თითქოს არავისგან განსხვავებული, თუმცა დასამახსოვრებელი ბავშვობა მქონდა. ვიზუალურადაც არ ვგავდი სხვებს და ეს ხასიათშიც ჩანდა. ქერა, ცისფერთვალება, მხიარული და, ამავდროულად, გულჩათხრობილი ვიყავი. რატომღაც ყოველთვის „დიდობაზე“ ვოცნებობდი. სენაკის რაიონში, სოფელ ნოსირში, გლეხების ოჯახში დავიბადე. მოგეხსენებათ, მძიმე 90-იანი წლები იყო საქართველოში და ამ ფონზე ოჯახში 3 შვილი ვიზრდებოდით - ორი და და მე. პატარა ასაკიდანვე გავაცნობიერე, რომ ბავშვური მოთხოვნები დროებით გვერდით უნდა გადამედო, რადგან ვხედავდი, რომ ჩემს მშობლებს საშუალება არ ჰქონდათ. ბევრი დარდიანი ღამე მქონდა. ვნატრობდი იმას, რაც, ალბათ, სხვისთვის არაფერს ნიშნავდა. ვნატრობდი პურს, სულის სიმშვიდეს და დედის სახეზე - ღიმილს. დედა იყო იმის მაგალითი, თუ როგორი უნდა იყოს კარგი მშობელი, მეუღლე, მეგობარი, მეზობელი...

- ბავშვობის ყველაზე მძაფრი მოგონება, რომელიც არ გავიწყდებათ...

- ზამთრის სუსხიანი დღე იყო. გადათეთრებული, გაყინული გარემო. ჩვენი სახლიდან კვამლიც არ ამოდიოდა, რადგან შეშა არ გვქონდა. რომელი დედა შეძლებდა გაყინულ „ფეჩთან“ მჯდომი შვილების საბრალო გამომეტყველებისთვის ეცქირა? მახსოვს, ტყეში წავედით ტოტების მოსაგროვებლად, პატარა ნაჯახით. დედა წინ, მე უკან მივკვალავთ თოვლს, საიდანაც, ალბათ, მხოლოდ ჩემი თავი ჩანდა. კილომეტრობით ვშორდებოდით სახლს და სადღაც შუაგულ ტყეში ვიწყებდით ტოტების მოჭრას. დედას ხელები წაეყინა და ცრემლები წასკდა ტკივილისგან. მე სულს ვუბერავდი მის ხელებს, ვუთბობდი და ვეუბნებოდი, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა, ვუმეორებდი, რომ მიყვარს და მადლიერი ვარ მისი. ამ რთული ბავშვობის დროს წელიწადში ერთხელ ან ორჯერ ამოდიოდა ჩემი „მზე“ ბათუმიდან. როცა დაბინდებისას სახლის ჭიშკარს მანქანის შუქი დაკრავდა, იმ დროს, ალბათ, ყველაზე ბედნიერი ვიყავი, რადგან ჩემი საყვარელი ბიძა მოდიოდა. მავიწყდებოდა ყველა დარდი, წუხილი, შიმშილი... თითქმის ყოველ ზაფხულს ბათუმში ვატარებდით ბიძასთან, ამიტომაც მიყვარს ეს ქალაქი გამორჩეულად, აქ თავს ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში. ის სურნელიც კი მიყვარს, გაწვიმების შემდეგ რომ იცის.

- რომელი პროფესია აირჩიეთ და რატომ?

- ყოველთვის მინდოდა, მსახიობი ან მოცეკვავე გამოვსულიყავი. ხშირად ვიღებდი სკოლის ღონისძიებებში მონაწილეობას, პატარა ასაკიდანვე მიჩვეული ვიყავი აპლოდისმენტებს, ხალხისგან ყურადღებას და კომპლიმენტებს, რაც ძალიან მახარებდა. ყველა მიწინასწარმეტყველებდა, რომ კარგი მსახიობი, მოცეკვავე გამოვიდოდი, მაგრამ ზოგჯერ ისე არ ხდება, როგორც ვფიქრობთ და ვგეგმავთ. ბიძაჩემის რჩევით, დავეუფლე სარესტორნო საქმეს. მეც გამიჩნდა სურვილი, გამოვსულიყავი რესტორატორი და მქონოდა ჩემი რესტორანი. როცა დრო დადგა, რომ მსახიობობაშიც მეცადა ბედი, ამ დროს ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი შეიცვალა - 2014 წელს დედა დაიღუპა (ტრაილერი დაეჯახა მისივე სამსახურის ეზოში)... როცა ეს ამბავი შელამაზებული ფორმით გავიგე, ბათუმში ერთ-ერთ მაღაზიაში ვმუშაობდი კონსულტანტად. ურთულესი და უმძიმესია ბათუმიდან სოფლამდე განვლილი გზის გახსენება. ეზოში შესვლისთანავე დაემხო მთელი სამყარო და დიდი ლაქა გაჩნდა ჩემს ცხოვრებაში, რომელიც დღემდე მომყვება. ჩვენ განსაკუთრებული ურთიერთობა გვქონდა (გვაქვს!)...

- რისი კეთება გსიამოვნებდათ ყველაზე მეტად?

- ზოგადად, ძალიან ხელმარჯვე ვარ (მამისგან გამომყვა), ყველაფრის კეთება შემიძლია. პატარაობიდან ვქმნიდი სუვენირებს, სამკაულებს, საყოფაცხოვრებო ნივთებს, ვწერდი ლექსებს. ყველაზე დიდ სულიერ სიმშვიდეს თევზაობა მანიჭებდა. დიდი ხანია, არ მითევზავია (აქ ლიცენზია სჭირდება). ვმეგობრობ ცხოველებსა და ყვავილებთან. ჩვენს დიდ, მწვანე ეზოში ღილებივით მოფენილი თეთრი გვირილები იყო. ის მენატრება...

- განსაკუთრებული ჰობი თუ გაქვთ?

- არ ვიცი, ეს რამდენადაა ჰობი, მაგრამ სხვების გახარება, სიურპრიზების კეთება მიყვარს, ასევე, ტყეში სეირნობა და ანტიკვარული ნივთების შეგროვება.

- როდის და რატომ წახვედით საზღვარგარეთ?

- ყველას თავისი ისტორია აქვს, როცა ემიგრაციაში მიდის, მაგრამ საქართველოდან წასვლის ძირითადი მიზეზი ფინანსური პრობლემაა. საქართველოში დღე და ღამე ვმუშაობდი, მაგრამ შეუძლებელი გახდა ოჯახის რჩენა. ბავშვობიდან გერმანიაში ცხოვრებაზე ვოცნებობდი, წასვლის მიზეზი კი ერთ გერმანელთან საუბარი გახდა - ალბათ, 5 წლის ვიქნებოდი, მარტვილში სამუსიკო სტუდიის კონცერტი რომ ჩატარდა. მისი დასრულების შემდეგ დედასთან გერმანელი ტურისტი მივიდა თარჯიმანთან ერთად და უთხრა, რომ მე დიდი მომავალი მექნებოდა გერმანიაში, თუ მას გავყვებოდი. დედამ აუხსნა, რომ ამისთვის ძალიან პატარა ვიყავი, მას კი არ შეეძლო ჩემთან ერთად წასვლა. გამიჩნდა მიზანი, რომ მენახა გერმანია. როცა დადგა ეს ეტაპი, ძალიან რთული გზის გავლა მომიხდა. ჯერ პოლონეთში ვიცხოვრე. მოხდა ისეც, რომ ბინიდან გამაგდეს 13 გრადუს ყინვაში, უცხო ქალაქში. არ ვიცოდი, სად წავსულიყავი. ქალაქის ხიდზე ვიდექი ღამის 4 საათზე და ჩემთვის ვამბობდი, რომ არ უნდა დავნებებულიყავი. დილით პოლონელების ოჯახმა შემიფარა. 1 თვე ვცხოვრობდი მათთან, შემდეგ, ქართველების დახმარებით, გერმანიაში ვიპოვე სამსახური. თავიდან იმედგაცრუებული ვიყავი, რადგან რესტორანში მინიმალურ ხელფასზე ვმუშაობდი 17 საათის განმავლობაში. დილით 7 საათზე ვიწყებდი საპირფარეშოების, დარბაზების დალაგებას. შემდეგ სამზარეულოში მრეცხავად ვმუშაობდი, თან მზარეულს ვეხმარებოდი. ასე გადიოდა წლები. ერთ დღესაც ჩემი „მონობა“ დავასრულე და ქალაქი შევიცვალე. ბევრი რამ ვისწავლე. 3 წელი არალეგალურად ვცხოვრობდი, 3 წლის შემდეგ პირველად დავბრუნდი სამშობლოში. ეს უფრო მტკივნეული იყო, ვიდრე დაშორება, თუმცა 3 თვის შემდეგ ისევ გერმანიაში დავბრუნდი.

- ამჟამად რას საქმიანობთ?

- უკვე წელიწად-ნახევარია, რაც ბერლინში ვცხოვრობ, ყველაზე კომფორტულად აქ ვარ. ამჟამად ვმუშაობ ქართულ რესტორანში - სერვისში. წინ ბევრი გეგმები მაქვს. არასდროს ვნებდები, რადგან ვიცი, ეს ქალაქი და ეს ქვეყანა ყველაფერს მომცემს, რაც მჭირდება.

- როგორია თქვენი ყოველდღიურობა?

- თავიდან გამიჭირდა მათი ცხოვრების რიტმში ჩაჯდომა, რადგან დღე ძალიან ადრე - 6 საათზე იწყება. ჯერ ერთ სამსახურში მივდივარ, შემდეგ მეორეში, ზოგჯერ კვირაში 2 დღე ვისვენებ და ვცდილობ, მეგობრებთან ერთად, ქალაქგარეთ გავიდე. ასევე, აუცილებლად ვიტოვებ დროს ოჯახთან სატელეფონო საუბრისთვის, რაც ჩემი აქ ყოფნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. ვესაუბრები მოხუც ბებიას და დიდი ემოციებით ვივსები. ვიხსენებთ ერთად გატარებულ დროს. ასევე ვესაუბრები ჩემს დებს და 7 დისშვილს, სულ დიდი ჟრიამულია და მამხნევებენ ემიგრაციაში მყოფ ბიძას.

- საკმაოდ ბევრი გამომწერი გყავს სოციალურ ქსელში. შენს პერსონაჟზე მოგვიყევი...

- ემიგრაციის პირველი დღიდან ძალიან აქტიური გავხდი სოციალურ ქსელებში. ეს იყო ერთადერთი გზა, რომ ვყოფილიყავი ოჯახსა და სამშობლოსთან ახლოს. სამწუხაროდ, სხვა ქვეყნიდან უფრო შესამჩნევი გახდა ჩემი ქვეყნის პრობლემები და ამაზე აუცილებლად უნდა მესაუბრა, მაგრამ ასე, პირდაპირ, არავინ მომისმენდა. ბევრი ვიფიქრე და ბოლოს იუმორით ნათქვამი სიმართლე ვამჯობინე. გაჩნდა იდეა, რომ ეს ყველაფერი მეგრელ ქალს ეთქვა - ინეზა კემულარიას შეეძლო ესაუბრა დაუფარავად იმაზე, რაც სინამდვილეში ლადოს, ანუ მე მაწუხებდა. პერსონაჟის ისტორია მისი პირადი ცხოვრებით იწყება. ინეზა კემულარია წარმოშობით აფხაზეთში, კერძოდ, გალში, მეგრულ ოჯახში დაბადებული პირველი ქალიშვილია. ის გვიყვება, რომ უზრუნველად გაზარდა მამამ და პედაგოგმა დედამ. შემდეგ გათხოვდა ზუგდიდში, შამათავების ოჯახში, პირველი უიღბლო ქორწილიდან მას ორი შვილი ჰყავს - ლანა და ნიკუშა. დიდი ოჯახური კონფლიქტის შემდეგ დაშორდა მეუღლეს და გაუდგა ემიგრაციის გზას (აქ უკვე ლადოს ვამსგავსებ). ბევრი რამ გაიარა ინეზამ და შემთხვევით გადაეყარა გერმანელ ბუღალტერს, მომავალ მეუღლეს, რომელთანაც ცოტა უჭირს, რადგან მენტალური განსხვავებაა მათ შორის. ინეზა რა კოლხია, თუ მისი კულტურა შესაფერისად არ წარმოაჩინა და დაანახა გერმანელ მეუღლე „იურგენას“?! (იცინის). პერსონაჟი ინეზა რამდენიმე მეგრელი ქალის ნაზავია (მათ შორის ჩემი რამდენიმე მეზობელი სოფლიდან და მასწავლებელი). მას მტკიცე ხასიათი აქვს, უპირობოდ კარგი პატრიოტი და ძალიან შრომისმოყვარეა, დაუღალავი და სამაგალითო დედაა... სიმართლე გითხრათ, არ ველოდი ასეთ გამოხმაურებას. დიდი მადლობა თითოეულ ჩემს მაყურებელს და გულშემატკივარს, რომ შეიყვარა „ინეზა“ და მე. მოგეხსენებათ, ქალბატონ ინეზას საკუთარი ფეისბუქგვერდი აქვს, ასევე ინსტაგრამი და ყოველდღიურად ეკონტაქტება მაყურებელს. ყოველდღე ათი ათასობით ესემესი შემოსდის, რომელსაც შეძლებისდაგვარად პასუხობს და თანაბრად უნაწილებს ყველას სიყვარულსა და სითბოს. სხვათა შორის, ძალიან აქტიურები არიან ემიგრაციაში მყოფი ქართველები. განსაკუთრებით მეგრელები.

- ყველაზე ბედნიერი ხართ, როცა...

- როცა სხვას ვახარებ და მის სახეზე ღიმილს ვხედავ.

- რა გეგმები გაქვთ?

- რამდენიმე მეგაპროექტი მაქვს, რაც ჩემი ქვეყნის, რეგიონის, სოფლის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს. მათ შორის, ერთ-ერთი იმ ახალგაზრდებისთვის შევქმენი, ვისაც ძალიან უჭირს პროფესიის არჩევა. ასევე, მიზნად დავისახე სოციალურად დაუცველ ხალხს შესაფერისი თანადგომა გავუწიო. საიდუმლოსაც გაგიმხელთ: აუცილებლად მექნება ქართული კაფე ბერლინში და ვეცდები, სულ სხვა მხრიდან დავანახო სამყაროს ჩვენი კულტურა, ტრადიცია თუ სამზარეულო. ეს დიდი პასუხისმგებლობა და რისკია, რადგან შენი ქვეყნის სახელი გაგაქვს ქვეყნის გარეთ, ამიტომ, ამ ეტაპზე, უფრო მეტ დროს განათლებას, საკუთარი თავის განვითარებას დავუთმობ, ძალიან ბევრს ვიმოგზაურებ და, ვფიქრობ, აქტიური ცხოვრება მექნება.

უკრაინა

უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ინფორმაციით, გასული დღე-ღამის განმავლობაში უკრაინაში კიდევ 200 რუსი ჯარისკაცი მოკლეს და ჯამში მათმა რიცხვმა 33 150-ს მიაღწია. ამასთან, უკრაინულმა მხარემ რუსული შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობის ტექნიკა გაანადგურა. „მტრის საერთო დანაკარგები მოიცავს: 1 456 ტანკს, 3 556 ჯავშანმანქანას, 734 საარტილერიო სისტემას, 97 საჰაერო თავდაცვის სისტემას, 215 თვითმფრინავს, 180 ვერტმფრენს, 2496 ერთეულ საავტომობილო ტექნიკასა და საწვავის ავზს, 13 გემს/კატერს, 593 უპილოტო საფრენ აპარატს, 55 ერთეულ სპეცტექნიკას, 129 ფრთოსან რაკეტას“, - აცხადებენ უკრაინის გენშტაბში.

* * *

ნამდვილად ისტორიული დღეა, რადგან უკრაინამ იგრძნო ერთდროულად ოთხი ძლიერი ევროპული სახელმწიფოს მხარდაჭერა, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ვიდეომიმართვაში განაცხადა. „უკრაინამ იგრძნო ევროკავშირისკენ ჩვენი სვლის მიმართ მხარდაჭერა. იტალია, რუმინეთი, საფრანგეთი და გერმანია ჩვენთან არიან. ოთხივე ქვეყნის ლიდერები მხარს უჭერენ უკრაინის კანდიდატობას“, - განაცხადა ზელენსკიმ. მისივე თქმით, ასევე მნიშვნელოვანი იყო ევროპელი ლიდერების განცხადება, რომ ომის დასასრული და მშვიდობა უნდა იყოს ისეთი, როგორსაც მას უკრაინელი ხალხი ხედავს. „უკრაინა გააგრძელებს ბრძოლას, ვიდრე არ იქნება გარანტირებული უკრაინის უსაფრთხოება და ტერიტორიული მთლიანობა“, - დასძინა ზელენსკიმ.

* * *

რუსმა დამპყრობლებმა დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე, სულ მცირე, 20 ფილტრაციის ბანაკი და ციხე შექმნეს, - უკრაინული მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ უკრაინის მუდმივმა წარმომადგენელმა ეუთოსა და ვენაში განლაგებულ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში ევგენი ციმბალიუკმა ეუთოს მუდმივმოქმედი საბჭოს სხდომაზე განაცხადა. „ჯერ კიდევ ბევრი ადგილია, სადაც დანაშაული არ წყდება. ოკუპირებულ ტერიტორიებზე, სულ მცირე, 20 ფილტრაციის ბანაკი და ციხეა აღმოჩენილი“, - აღნიშნა ელჩმა. მან ისაუბრა ოკუპირებულ დონეცკში მდებარე ციხე „იზოლაციაზე“. „ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რა საშინელებებიც იქ ხდება, ამიტომ უნდა შევაჩეროთ რუსეთი და არ მივცეთ საშუალება, ეს ციხე მთელ უკრაინაში გაავრცელოს“, - აღნიშნა ციმბალიუკმა.

* * *

უკრაინის სამხედრო-საზღვაო ფლოტი სოციალურ მედიაში იუწყება, რომ რუსულ სამაშველო საბუქსირო გემ Spasatel Vasily Bekh-ზე დარტყმა განახორციელეს. გავრცელებული ინფორმაციით, გემზე თავდასხმა მაშინ განხორციელდა, როცა ის „შავი ზღვის ფლოტის საბრძოლო მასალის, იარაღისა და პერსონალის კუნძულ ზმეინიზე ტრანსპორტირებას ახორციელებდა“.

* * *

რუსმა ოკუპანტებმა ნიკოლაევზე სარაკეტო თავდასხმა განახორციელეს, - ამის შესახებ ქალაქის მერმა ალექსანდრე სენკევიჩმა „ტელეგრამში“ განაცხადა. „დღეს დილით რუსმა დამპყრობლებმა ნიკოლაევში კიდევ ერთხელ გაისროლეს რაკეტები. დაზიანდა საცხოვრებელი კორპუსები. ადგილზე მაშველები და ექიმები მუშაობენ, - აღნიშნა მერმა. ამასთან, ნიკოლაევის ოლქის სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ვიტალი კიმმის ინფორმაციით, სარაკეტო დარტყმის შედეგად 4 საცხოვრებელი მრავალსართულიანი შენობა და ინფრასტრუქტურული ობიექტი დაზარალდა. „ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, დაიღუპა ერთი და დაშავდა ექვსი ადამიანი (მათ შორის ერთი ბავშვია). სამაშველო სამუშაოები გრძელდება“, - განაცხადა ვიტალი კიმმა.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

ფესტივალის პირველი ტური – ხულოსა და ქედაში

ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზებით და ხულოს, შუახევის, ქედის მუნიციპალიტეტების მერიის მხარდაჭერით, დაბა ხულოს დრამატულ თეატრსა და ქედის კულტურის ცენტრში საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის პირველი ტური გაიმართა

ეროვნულ ფესტივალში მონაწილეობდნენ: ავთენტიკური ჯგუფები და სასოფლო, ხალხური სიმღერის მუნიციპალური და თვითმოქმედი, ტრადიციულ-ხალხურ საკრავთა, ქორეოგრაფიული ანსამბლები, ინდივიდუალური შემსრულებლები (სიმღერა, ცეკვა, საკრავი), მთქმელები, ავტორ-მთქმელები, ხელოვნების ოსტატები.

ხულოსა და ქედაში გამართული ფესტივალების ჟიურის წევრები იყვნენ ქართული ფოლკლორის ამაგდარები: ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ქორეოგრაფიული მიმართულების ხელმძღვანელი უჩა დვალიშვილი, ცნობილი ეთნომუსიკოლოგი, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხალხური მუსიკის მიმართულების ხელმძღვანელი ნანა ვალიშვილი, ცნობილი ფოლკლორისტი ეთერ თათარაიძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფოლკლორის ხელშეწყობის განყოფილების უფროსი მადონა თევზაძე, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხალხური მუსიკის მიმართულების კოორდინატორი თეა კასაბური.

ფესტივალი ორი ტურისაგან შედგება. დასკვნით ტურში მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივ და რეგიონულ ტურებში ჟიურის მიერ შერჩეული საუკეთესო მონაწილეები, რომელთაც მიენიჭებათ ფესტივალის ლაურეატის წოდება და გადაეცემათ დიპლომები და სხვადასხვა სახის ჯილდოები, ასევე ფესტივალის სპონსორთა მიერ დაწესებული სპეციალური პრიზები.

საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის მიზანია ქართული, ასევე საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნოსის, ფოლკლორის დარგებისა და ჟანრების ნიმუშთა მოძიება - გამომზეურება და დღეს ქვეყანაში არსებული ცოცხალი ფოლკლორული ყოფის რეალური სურათის წარმოჩენა. XXI საუკუნის დასაწყისის სრულიად საქართველოს ფოლკლორული სურათის დაფიქსირება, სისტემატიზაცია, კვლევა, ფოლკლორის სიცოცხლისუნარიანობაზე ზრუნვა, შესაბამისი პირობებისა და გარემოს შექმნა, საქართველოს თითოეულ კუთხესა და სოფელში ხალხური შემოქმედების დარგების აღორძინება.

გთავაზობთ ინტერვიუს უჩა დვალიშვილთან და ეთერ თათარაიძისა და ნანა ვალიშვილის კომენტარებს.

უჩა დვალიშვილი, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ქორეოგრაფიული მიმართულების ხელმძღვანელი:

- პირველ რიგში, მადლობა იმ ადამიანებს, ვინც პროექტში მონაწილეობს. წლევანდელი ფესტივალი, პანდემიით გამოწვეული პაუზის შემდეგ, ტრადიციების აღდგენა-გაგრძელებაა. დაგეგმილი გვაქვს, რომ დასკვნითი ღონისძიება, ოლიმპიადა შემოდგომაზე ჩავატაროთ. მე, ეთერ თათარაიძე და ნანა ვალიშვილი საქართველოს ყველა რეგიონს ვსტუმრობთ, ვარჩევთ ანსამბლებს, ინდივიდუალურ შემსრულებლებს, მხატვრული კითხვის ოსტატებს. დაინტერესებული ვართ, რომ ფოლკლორული ნიმუშები გამოვამზეუროთ. არაა დასამალი, რომ ცეკვას, სიმღერას ადრინდელი დატვირთვა აღარ აქვს. ფოლკლორის უგულებელყოფა დაუშვებელია. მიზანი ერთია: მივუახლოვდეთ ადრინდელ ტრადიციებს, ძირძველ ფესვებს, რომ ეროვნული ხელოვნება განვითარდეს.

- ფესტივალის ინიციატორი ვინაა?

- საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი. მათი ხელმძღვანელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენს წინადადებებს, სურვილებს, რეაგირების გარეშე არ ტოვებენ.

- ხულოსა და ქედაში ჩატარებულმა პირველმა ტურმა რა სიახლეები დაგანახათ?

- განსაკუთრებით გამორჩეული იყო ქედაში ჩატარებული ტური. ვნახეთ შუახევის მუნიციპალიტეტის უხუცესთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ფესვები“, რომლის ხელმძღვანელის - ბადრი დარჩიძის მიერ წარმოდგენილი კომპოზიცია სიახლეა, სამი ნომერი გამოიტანეს. შეიძლება ითქვას, რომ მახალაკიძეებელი დარჩიძეების ოჯახი - ძმები ბადრი და ავთანდილ დარჩიძეები - მშობლების გზას აგრძელებენ. რამდენიმე წლის წინ ოჯახშიც გახლდით. მათი დედის შესრულებული „ხორუმი“ და „განდაგანა“ დღეს უკვე სცენაზეა გამოტანილი, გადამუშავებული. ძალიან მისასალმებელი და საინტერესოა ეს გზა. პირველად ვნახე აჭარული „ფერხული“ სიმღერების ჩართულობით. ეს იყო მოძრაობათა კომპლექსი, ხალხში განფენილი ვარიანტების გამომზეურება. ეს მივიწყებას არ უნდა მისცემოდა, თუმცა გზა უკვე გამონახულია, ფოლკლორული ფესტივალები ამას ემსახურება. ახლის ძიება ყოველთვის მომგებიანია. ძალიან ხშირად ვიყენებთ გამოთქმას: იცოდე, რას ეძებ. ჩვენთვის საძებარი ნათელია, შედეგსაც მივიღებთ.

> ***„პირველად ვნახე აჭარული „ფერხული“ სიმღერების ჩართულობით. ეს იყო მოძრაობათა კომპლექსი, ხალხში განფენილი ვარიანტების გამომზეურება. ეს მივიწყებას არ უნდა მისცემოდა, თუმცა გზა უკვე გამონახულია, ფოლკლორული ფესტივალები ამას ემსახურება. ახლის ძიება ყოველთვის მომგებიანია. ძალიან ხშირად ვიყენებთ გამოთქმას: იცოდე, რას ეძებ. ჩვენთვის საძებარი ნათელია, შედეგსაც მივიღებთ***

- ტურის მიმდინარეობისას შენიშვნები გამოთქვით ცხმორისელების მიერ შესრულებულ „გადახვეულ ხორუმზე“...

- მოცეკვავეები რომ ასაკში შედიან, მათი შესრულების ტექნიკა შეიძლება დაბალი იყოს, მოძრაობებიც სხვაგვარად სრულდება. ამიტომ უნდა ვიზრუნოთ ანსამბლებში ახალგაზრდების მოზიდვაზე. ვერ ვიზიარებ განაცხადს: „გადახვეული ხორუმი“. ეს შეესაბამება „გადაცდენილს“, რაც სწორად არ მიმაჩნია როგორც მეცნიერს, დარგის კვალიფიციურ სპეციალისტს. მაპატიეთ, რომ ჩემს რეგალიებს ვიშველიებ, მაგრამ ამ შემთხვევაში ასეა საჭირო. სწორი ფორმა და ღირებული იქნება განაცხადი: „ცხმორისული ხორუმი“, „ნაღვარეული ხორუმი“, „ხიხაძირული ხორუმი“, „მაჭახლური ხორუმი“, „კობალთური ხორუმი“, „ქედის ხორუმი“, „ბაუჟაძეების ხორუმი“ და ასე შემდეგ. შესრულების კონსტრუქციაზე მერე ვიმსჯელებთ.

- ორწლიანი პაუზა ცოტა არ იყო... აჭარის მთიანეთში ახლა რა ვითარებაა ფოლკლორული მიმართულების თვალსაზრისით?

- იძულებითი, თანაც ორწლიანი პაუზა ყველაფერზე ახდენს გავლენას. ადამიანებს პანდემიამ ხასიათი შეუცვალა. თუ ხასიათი არ იქნება, სიმღერა და ცეკვა თავის ეფექტს ვერ ტოვებს. ჩვენ მრავალი ადამიანი დავკარგეთ, მათ შორის ცეკვა-სიმღერის, მხატვრული კითხვის ოსტატები. ფსიქოლოგიურად ეს ყველაფერი ჟიურის წევრებზეც მოქმედებს და შესრულებაზე - უარესად. განიცდიან, როცა წავიდა წუთისოფლიდან მათ გერდით მდგომი მომღერალი, გამოეთიშათ მოცეკვავე. ჩვენ კარგად გვახსოვს „ფესვების“, „ბერმუხას“ უბადლო შემსრულებლები. ბოლო ორ წელიწადში ისინი წუთისოფლიდან წავიდნენ. ნათელი მათ ხსოვნას. იგივე „ფესვებში“, ოთარ ჭაღალიძის ვარიანტი სხვას გამოაქვს, მაგრამ იქ ოთარი შეუდარებელი იყო... ქართველი ხალხის ტრაგიკულ ბედს ცეკვა და სიმღერა სიმხნევეს მატებდა. ამჯერადაც ამ პათოსით უნდა ვიხელმძღვანელოთ. ცხოვრება გრძელდება, ყველაფერს იმედის თვალით ვუყურებ.

- **როგორ შეაფასებთ თვითმმართველობის, რეგიონული სამსახურების დამოკიდებულებას ფოლკლორისადმი?**

- მადლობას ვიტყვი აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მისამართით. წლებია, ექსპედიციებზე, მასტერკლასების ჩასატარებლად აჭარაში ჩამოვდივარ. ყველა სიახლე ჩემს თვალწინ ხდება. პირდაპირ ვიტყვი - ბავშვთა ქორეოგრაფიას არცერთ რეგიონში ისეთი ყურადღება არ ექცევა, როგორც აჭარაში. ანსამბლების საცეკვაო ფორმებით შემოსვა საშური საქმეა, სამინისტროს მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელები ამას ახერხებენ, ანსამბლებს გვერდით უდგანან. ბავშვთა ანსამბლების მსგავსად, ახალგაზრდული, უხუცესთა ანსამბლებიც შემოსილია ფორმებით. დროდადრო, მუშაობაც უნდა გაუმჯობესდეს - ანსამბლები თითქმის ერთნაირი რეპერტუარით გამოდიან.

ეთერ თათარაიძე: ქედაში გამართული ტური ნამდვილი ზეიმი იყო. ამაგი არ უნდა დავუკარგოთ ქედის კულტურის ცენტრის წამყვან სპეციალისტს ლია მახარაძეს. მან ზეპირსიტყვიერების უნიკალური ნიმუშები გააცოცხლა და საჯაროდ გამოიტანა. ყოვლად გაუმართლებელი იყო სასოფლო კლუბების გაუქმება. თავის დროზე, კლუბებმა ხალხურ ზეპირსიტყვიერებას ხვავრიელი შენაკრები მისცა. ცალკე აღნიშვნის ღირსნი არიან შუახეველები - ვახტანგ გოგრაჭაძე, ირმა კეკელიძე. საიმედო ახალგაზრდობა მოდის, მათი შემოქმედება მდიდარ წარსულზეა აგებული. მრავალ მათგანს „მწვანე შუქს“ ვუნთებთ შემოდგომაზე დასკვნით ტურში მონაწილეობისთვის.

- **ნანა ვალიშვილი:** დღევანდელი ტური მაღალი საშემსრულებლო დონით იყო გამორჩეული. მისასალმებელია ახალგაზრდების აქტიურობა, რაც ძალიან მახარებს.

სამუშაოები ორგანიზებულად მიმდინარეობს

დიოკნისის ადმინისტრაციული ცენტრის, საჯარო სკოლის, ბაგა-ბაღის, რძის გადასამუშავებელი საწარმო „ჰორიზონტის“, სავაჭრო ობიექტების შემდეგ, დიოკნისს ადმინისტრაციული შენობაც შეემატება

პარლამენტარი ანზორ ბოლქვაძე, ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე და საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძე ამ ობიექტზე სამშენებლო სამუშაოებს გაეცნენ. პროექტი გარდამავალია და 2023 წლის ივნისში დასრულდება.

ახალ შენობას კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქცია ექნება, რომელშიც საჯარო შეხვედრების სივრცე, სოფლის კლუბი და ბიბლიოთეკა განთავსდება.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 727 996 ლარს შეადგენს.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

მაიმუნის ყვავილის გავრცელების საფრთხე საქართველოში მინიმალურია

ზიჟრია დავლაძე 27 48 93

მაიმუნის ყვავილის პირველი შემთხვევა საქართველოში 15 ივნისს დაფიქსირდა. ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ფაქტთან დაკავშირებით განხორციელდა ყველა საჭირო ღონისძიება

რაც შეეხება ინფექციის გავრცელებას, ამის საშიშროება თითქმის არ არსებობს, რადგან ყვავილის გადაცემა ახლო ფიზიკური კონტაქტით, დაზიანებული კანიდან სასუნთქი გზების გავლით გადადის. ასევე, მაიმუნის ყვავილის გავრცელება შესაძლოა, ისეთ ცხოველებთან კონტაქტის შემდეგაც მოხდეს, როგორიცაა მაიმუნი, მღრღნელი ან ციყვი. ვირუსი გადადის ინფიცირებული პაციენტის ტანსაცმლიდან და თეთრეულიდანაც.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში ამბობენ, რომ მაიმუნის ყვავილი, ძირითადად, მსუბუქად მიმდინარეობს. მეცნიერები მას ჩუტყვავილასაც კი ადარებენ - მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული ვირუსული ინფექციაა, მასაც, ჩუტყვავილას მსგავსად, სიმპტომების თავისთავად ალაგება ახასიათებს. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ჩუტყვავილას აცრა ხელს შეუშლის ვირუსის გავრცელებას. ისინი, ვინც ბავშვობაში ჩუტყვავილას ვაქცინით არ აცრილან, ამას ახლა გეგმავენ. ცნობილია ისიც, რომ საქართველოში ბოლო რამდენიმე წელია, აღნიშნული ვაქცინით ახალშობილები აღარ იცრებიან, რადგან გეგმური ვაქცინაციიდან ჩუტყვავილას აცრა ამოღებულია.

- ამ საკითხთან დაკავშირებით სიახლე ამ ეტაპზე არ გვაქვს. მხოლოდ ერთი შემთხვევაა, რომელიც მიმდინარეობს ნორმის ფარგლებში. თანაც ვირუსი ადვილად გადამდები არაა. პანიკის საფუძველი ნამდვილად არ არსებობს. თუ რაიმე დაიგეგმა, ამას საზოგადოება აუცილებლად შეიტყობს. ჩუტყვავილას ვაქცინას რაც შეეხება, არ არის საჭიროება გეგმურ აცრებში შედიოდეს, რადგან ბოლო რამდენიმე წელია, ინფიცირების შემთხვევები თითქმის არ ყოფილა, - განაცხადეს ჯანდაცვის სამინისტროში.

- ექსპერტების თქმით, მაიმუნის ყვავილის გამომწვევი ვირუსი ყვავილის ვირუსთა ოჯახს მიეკუთვნება, დაავადება, ძირითადად, აფრიკაში, ტროპიკული ტყეების სიახლოვეს არსებულ ქვეყნებში გვხვდება. ამ დროისთვის ვირუსის ორი ძირითადი შტამი არსებობს - დასავლეთაფრიკული და ცენტრალურაფრიკული. ცნობილია ისიც, რომ დასავლეთაფრიკული შტამი შედარებით მსუბუქი სიმპტომატიკით გამოირჩევა. მაიმუნის ყვავილი, ძირითადად, 12-დან 21 დღემდე გრძელდება. მას თავდაპირველად, თავის ტკივილი, ცხელება, შეშუპება, ასევე ზურგისა და კუნთების ტკივილი ახასიათებს. BBC-ის ცნობით, თავდაპირველად, ვირუსი ტყეობაში მყოფ მაიმუნს აღმოუჩინეს, 1970 წლის შემდეგ კი, აფრიკის 10 სხვადასხვა ქვეყანაში ცალკეული ეპიდაფეთქებებიც დადასტურდა. ასევე, ინფექცია 2003 წელს აშშ-იც დაფიქსირდა და სწორედ ის იყო ეპიდემიის გავრცელების პირველი ქვეყანა აფრიკის შემდეგ. ბოლოს ეპიდაფეთქება 2017 წელს ნიგერიაში მოხდა.

გამარჯვებული მოსწავლეები და პედაგოგები დაჯილდოვეს

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

შუახევის რესურსცენტრის ორგანიზებით, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფესიული კავშირის შუახევის რაიონული ორგანიზაციის მხარდაჭერით, 2021-2022 სასწავლო წელს განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების წარდგენა და მუნიციპალურ-საგნობრივ კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლეების, პედაგოგების და სკოლების დირექტორთა დაჯილდოების ცერემონია გაიმართა

რესურსცენტრის უფროსმა ედუარდ გოგრაჭაძემ, შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფესიული კავშირის შუახევის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ლევან ნატარიძემ და სხვებმა გასულ სასწავლო წელს სკოლებში გატარებულ ღონისძიებებზე, საგნობრივ კონკურსებზე ისაუბრეს, რომლებიც ისტორიაში, გეოგრაფიაში, სამოქალაქო განათლებასა და ინგლისურ ენაში ჩატარდა სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში.

ისტორიაში მეცხრე კლასების მოსწავლეთა შორის პირველი ადგილი საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის სკოლის მოსწავლე მარიამ მიქელაძეს ერგო, მეორე - გოგიტა დავითაძეს (სხეფის სკოლა), მესამე - მარიამ დავითაძეს (საპატრიარქოს ხიჭაურის სკოლა). მეთერთმეტე-მეთორმეტე კლასების მოსწავლეებს შორის წარმატება ანრი ზოიძემ, ლიზა პაქსაძემ და თამაზ შანიძემ მოიპოვეს (შუახევის საჯარო და ხიჭაურის სკოლები).

სამოქალაქო განათლებაში საუკეთესოები იყვნენ ჭალისა და დღვანის საჯარო სკოლების მოსწავლეები თამრიკო ჭაღალიძე, შოთა დიასამიძე და ნინო ფუტკარაძე.

გეოგრაფიაში პირველ ადგილზე ნენიის საჯარო სკოლის მოსწავლე მათე ქამადაძე გავიდა. მეორე ადგილი თანაბარი ქულებით შუბნისა და ჭალის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა ტარიელ ფუტკარაძემ, შოთა დიასამიძემ და თამრიკო ჭაღალიძემ გაიყვეს, ინგლისურ ენაში წარმატებას ხიჭაურის, ახალდაბის, დღვანის, ხაბელაშვილების, ხიჭაურის (საჯარო), ბრილის სკოლების მოსწავლეებმა მიაღწიეს.

მუნიციპალურ-საგნობრივ კონკურსებში სულ 863 მოსწავლე მონაწილეობდა. 25 გამარჯვებულს სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადაეცა, მადლობის სიგელები კი საგნების პედაგოგებსა და წარმატებული სკოლების დირექტორებს.

- ასეთი კონკურსები მომავალ სასწავლო წელსაც გაგრძელდება, რაც მოსწავლეებისა და მათი აღმზდელების მეტ დაინტერესებას გამოიწვევს, - გვითხრა ედუარდ გოგრაჭაძემ.

„მთელ ევროპას უნდა გავაგონოთ ხმა, რომ ევროინტეგრაციას ვიმსახურებთ“

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„ქართული ოცნების“ მავნებლური ქმედებებიდან გამომდინარე, დიდი საფრთხეა, რომ საქართველო ევროკავშირში ინტეგრაციის გზას ასცდეს. რეალური გახდა საფრთხე, რომ საქართველო უკრაინას და მოლდოვას დაშორდეს

აღნიშნულის შესახებ ბათუმში, პარტიის ოფისში „სტრატეგია აღმაშენებელის“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ განაცხადა.

- „ქართული ოცნების“ ზოგიერთი ლიდერის ბოლოდროინდელი განცხადებები არის შეთქმულება საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ. თუ ისე მოხდა, რომ უკრაინას და მოლდოვას ავცდით, ეს იქნება მხოლოდ და მხოლოდ „ქართული ოცნების“ დანაშაული ქართველი ერისა და საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ. ყველა შეკრებაზე ძალიან ბევრი უნდა ვიყოთ, რაც შეიძლება ხმამაღლა, მთელ ევროპას უნდა გავაგონოთ ხმა, რომ ევროინტეგრაციას ვიმსახურებთ და, ასევე, რაც შეიძლება ხმამაღლა „ქართულ ოცნებას“ უნდა შევაგნებინოთ, რომ ისინი ევროპული ინტეგრაციის გზას ვერ აგვაცდენენ. ღმერთი ნუ გაგიწყრებათ და, ამ უზარმაზარ შესაძლებლობას, რაც საქართველოს თითოეულ მოქალაქეს აქვს, არ აგვაცდინოთ. ვეუბნები კობახიძეს, ღარიბაშვილს, ივანიშვილს, „ქართული ოცნების“ თითოეულ ლიდერსა თუ არალიდერს, თქვენ ხალხის ძალიან დიდ რისხვას ვერ ასცდებით, საშინელი გეოპოლიტიკური კოლაფსი იქნება, რაც შეიძლება ჩვენს ქვეყანას დაემართოს, თუ უკრაინას და მოლდოვას მოგვაშორებენ, - განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

ოპოზიციონერი ლიდერის თქმით, 24 ივნისამდე, როცა ევროკავშირის საბოლოო გადაწყვეტილება გვეცოდინება, მოგვანიჭებს თუ არა კანდიდატის სტატუსს, უნდა გაიმართოს არაერთი აქცია, სადაც ჩვენს მკვეთრ პოზიციებს დავაფიქსირებთ, რომ ევროპული გზა ჩვენი ქვენისთვის უალტერნატივოა.

„თორნიკე შენგელია პოეტია“

ლეგენდარული იტალიელი სპეციალისტი ვალერიო ბიანკინი, რომელიც 2013 წელს იტალიის საკალათბურთო დიდების დარბაზში შეიყვანეს, Gazzetta dello Sport-ში საინტერესო სტატიას აქვეყნებს. ის ყურადღებას განსაკუთრებით ამახვილებს ქართველ კალათბურთელ თორნიკე შენგელიაზე: „თორნიკე შენგელიას რბილი სროლა და ფართან ზურგით ყოფნისას ბრწყინვალე ხედვა აქვს, რასაც ფეხით მუშაობის შესანიშნავი უნარი ემატება, ეს ყველაფერი კი გვიჩვენებს, რომ კალათბურთის ფუნდამენტური ასპექტები მან ზეპირად იცის. შენგელია პოეტია, როცა საქმე მჭიდრო სივრცეში მოძრაობას ეხება. მის გადაადგილებაში, თუნდაც ყველაზე ძალისმიერშიც კი, სიმსუბუქე იგრძნობა“.

ამირან გურიელიძე

რომ არა აშშ-ისა და მოკავშირეების მხარდაჭერა...

თებერვალში პუტინის გეგმები არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ უკრაინის დაპყრობით და თუ შეერთებული შტატები, მოკავშირეებსა და პარტნიორებთან ერთად, მტკიცედ არ დაუჭერდა მხარს უკრაინელებს მათ წინააღმდეგობაში, რუსეთი ევროპაში ნამდვილ ქაოსს მოიტანდა, - ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა Associated Press-თან ინტერვიუში განაცხადა.

„თუ მან (პუტინმა) დაიპყრო უკრაინა, ისევე როგორც ბელარუსი, სადაც ის არსებითად იმყოფება ახლა და გახდებოდა საფრთხე ნატოსთვის, ახლა ყველაფერი ბევრად უარესად იქნებოდა“, - განაცხადა ბაიდენმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეერთებულმა შტატებმა თავიდანვე გააკეთა არჩევანი უკრაინის მხარდასაჭერად მიუხედავად იმისა, რომ ამისთვის მძიმე ფასი გადაიხადა - ბენზინის ფასის მნიშვნელოვანი ზრდა მთელ მსოფლიოში. „ვშიშობ, რაც შემდეგ მოხდებოდა, იქნებოდა ის, რომ თქვენ დაინახავდით ქაოსს ევროპაში. თქვენ ნახავდით, რომ ისინი (რუსულ ჯარები) შესაძლოა, განაგრძობდნენ წინსვლას“, - განაცხადა პრეზიდენტმა.

ამირან გურიელიძე

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და აღშარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 17/06/22, 21 40 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

სტაჟიორისთვის თითოეული კონცერტი წინსვლა და განვითარებაა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო თერმინტ-წლედის დიდი საკონცერტო დარბაზის სცენა ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის საოპერო დასის სტაჟიორებს დაეთმო. კლასიკური მუსიკის საღამოზე შესრულდა ქართველ და ევროპელ კომპოზიტორთა ნაწარმოებები

ბათუმელი მსმენელის წინაშე წარსდგა საოპერო დასის ექვსი სტაჟიორი - მომღერლები გვანცა თარხნიშვილი, ნატა ცქვიტინიძე, ხათუნა დონდუა, სალომე მახათელაშვილი, ლიკა გოთაიძე, დავით დიასამიძე, რომლებმაც საკმაოდ რთული პროგრამა წარმოადგინეს (კონცერტმაისტერები - ნანა კვირიკაძე, ნინო ნიშნიანიძე, საოპერო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი - მარიამ ჯახუტაშვილი).

მომღერლებიდან ერთი - ლიკა გოთაიძე დებიუტანტი იყო. მან თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია დაამთავრა (ცნობილ მომღერალ ცისანა ტატიშვილის კლასი). ბათუმში ოჯახის შექმნის შემდეგ გადმოვიდა და ამჟამად მარიამ ჯახუტაშვილთან მეცადინეობს.

- დღეს ჩვენმა სტაჟიორებმა ევროპელ და ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებიდან არიები შეასრულეს. მინდა, მათ კონცერტი ორკესტრთან ერთად მოვამზადებინო, ასევე, შევიყვანო სპექტაკლებში, რათა რეჟისორებსა და ორკესტრთან მუშაობის საშუალება მიეცეთ. ისინი გამოჩეულად ნიჭიერები არიან. დღეს ამ კონცერტზე ვერ იმღერა გიორგი სტურუამ, რომელიც უცხოეთშია მიწვეული. ვფიქრობ, ზაფხულში ჩვენთანაც გამოვა. რაც შეეხება დღევანდელი კონცერტის მონაწილეებს, სტაჟიორებმა ურთთულესი ორ-ორი არია იმღერეს და, ვფიქრობ, კარგადაც, - გვითხრა მარიამ ჯახუტაშვილმა.

ემოციები გაგვიზიარეს სტაჟიორებმაც.

გვანცა თარხნიშვილი:

- დღეს მსმენელის წინაშე ახალი არიით წარვსდექი, რაც ჩემთვის დიდი გამოწვევა იყო. რეკორდულად პატარა დროში მოვამზადე და სასურველი შედეგისთვის ბევრი ვიშრომე, ვიმღერე, ასევე, მიმის არია „ბოჰემიდან“. მსმენელმა თბილად მიმიღო, რაც, რა თქმა უნდა, მიხარია.

სალომე მახათელაშვილი:

- ეს მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, რადგან შევასრულე ჩემი უსაყვარლესი ვიოლეტას არია ვერდის „ტრავიატადან“, რაზეც ბავშვობიდან ვოცნებობდი. რთული არიაა, მაგრამ არ გამიძნელდა, რადგან... მომწონს. მადლობა ბათუმის მუსიკალურ ცენტრს და, გამორჩეულად, მარიამ ჯახუტაშვილს, რომელიც ახალგაზრდა მომღერლებს დიდ სცენაზე გამოსვლის შესაძლებლობას გვაძლევს, ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ამჟამად მაგისტრატურის მეორე კურსზე ვსწავლობ. ვაპირებ, კარიერა საერთაშორისო ასპარეზზე გავაგრძელო.

ლიკა გოთაიძე:

- არასოდეს ვარ კმაყოფილი ჩემი ნამღერით, თუმცა, ვფიქრობ, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა ცუდი არაა, რადგან მომავალში შეეცდები მეტი გააკეთო.

ნატალია ცქვიტინიძე:

- ამ პარტიას 17 წლიდან ვმღერი, პირველად ანდღულაძის კონკუსზე შევასრულე და პირველი ადგილი ავიღე, მაგრამ მომღერალი ყოველი კონცერტის წინ მაინც ღელავს. ამის გარეშე არც შეიძლება. ასეთი საღამოები ნამდვილად კარგია, მეტ გამოცდილებას ვიძენთ, სცენის შიშსაც ვძლევთ.

დავით დიასამიძე:

- უკვე ორი წელია, რაც ქალბატონ მარიამის სტაჟიორი ვარ. ის ძალიან გვეხმარება ახალგაზრდებს. ვფიქრობ, კარგად გავართვი თავი გუნოს ოპერიდან „ფაუსტი“ ვალენტინის არიას, რომლის შესრულება ძალიან საპასუხისმგებლო იყო.

კესარია მგელაძე საქართველოს ჩემპიონია

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

თბილისის ჭადრაკის სასახლეში საქართველოს ჩემპიონატი ჩატარდა 8 და 12 წლამდე ასაკის ჭაბუკებსა და გოგონებს შორის. აჭარიდან მასში შვიდი მოჭადრაკე მონაწილეობდა: კესარია მგელაძე, მარიამ კალანდაძე, ანეტა ქედელიძე, დემეტრე გოგიაშვილი, შოთა ცეცხლაძე, ილია აბულაძე.

საუკეთესოდ იასპარეზა 12 წლამდე გოგონებს შორის აჭარის არაერთგზის ჩემპიონმა კესარია მგელაძემ, რომელმაც 9-დან 7,5 ქულა დაგროვა და ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა. აღსანიშნავია, რომ კესარია მგელაძემ ჩემპიონობასთან ერთად, ევროპის ჩემპიონატის საგზურიც მოიპოვა (მწვრთნელები - ნოდარ ლორთქიფანიძე და ნუკრი მანაგაძე).

ვეტერანები დელფინარიუმში მიიწვიეს

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

აჭარის სპორტის ვეტერანთა ფედერაცია, რომელსაც საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე შალვა ტაბაღუა ხელმძღვანელობს, ბევრი საინტერესო ღონისძიების ინიციატორია

მათ განხორციელებაში ვეტერანებს გვერდით უდგას ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ბათუმის სპორტული ცენტრი (დირექტორი - არჩილ ბარამიძე), აჭარის სპორტის დეპარტამენტი (ხელმძღვანელი - ლაშა ჩავლეშვილი), ბათუმის სასპორტო სკოლა (დირექტორი - ირმა ნიჟარაძე), ბათუმის ბულვარის ადმინისტრაცია (დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი - სოფიო გუჯაბიძე). ვეტერანებისთვის ტარდება როგორც სპორტული, ისე სხვა სახის გასართობი ღონისძიებები, მათ იწვევენ გამოფენებზე, კონცერტებზე, სხვა კულტურულ თუ სპორტულ ღონისძიებებზე.

ამ რამდენიმე დღის წინ ბათუმელი ვეტერანები შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ დელფინარიუმსა და აკვარიუმში (დირექტორი - დავით ლეკვეიშვილი) ოჯახის წევრებთან ერთად მიიპატიჟეს.

100-ზე მეტი ადამიანი უფასოდ დაესწრო დელფინების შოუს, დაათვალიერეს აკვარიუმი.

ვეტერანები მადლობას უხდიან ყველას, ვინც ასე ზრუნავს მათზე და ცხოვრებას უხანგრძლივებს.

საქართველოს ქალთა ჩემპიონატი ჭადრაკში ბათუმელთა ტრიუმფით დასრულდა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ორგანიზებით, 5-15 ივნისს საქართველოს ქალთა 79-ე ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა გაიმართა. ტურნირი ფიდეს წესებით, წრიული სისტემით, 9 ტურად ჩატარდა. ჩემპიონობისთვის ათი საუკეთესო მოჭადრაკე ქალი იბრძოდა, მათ შორის, აჭარის წარმომადგენლები - ნინო ბაციაშვილი და სალომე მელია.

ბათუმელმა საერთაშორისო დიდოსტატმა ნინო ბაციაშვილმა სასტარტო მარცხის შემდეგ, ზედიზედ რვა პარტია მოიგო და ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა.

ნახევარი ქულით ჩამოჩა მას საერთაშორისო დიდოსტატი სალომე მელია, რომელმაც 9-დან 7,5 ქულით ვიცე-ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა. სხვათა შორის, ნინო ბაციაშვილმა ერთადერთი პარტია სწორედ სალომე მელიასთან წააგო. მესამე ადგილი 7 ქულით, საერთაშორისო დიდოსტატმა ლელა ჯავახიშვილმა მოიპოვა.

საპრიზო სამეულში გასულმა მოჭადრაკეებმა ევროპის ჩემპიონატის დაფინანსებაც მოიპოვეს, რომელსაც პრაღა აგვისტოში უმასპინძლებს.

ვულოცავთ ჩვენს გოგონებს ამ მნიშვნელოვან წარმატებას.